დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ- ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **მერი ქვრივიშილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წევრები:

ელენე კალანდაძე –ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

მანანა ჭიკაძე– საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

თამილა თამაზაშვილი –საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ვარდო გოგილავა –უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია მაკრახიძე –ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

ანა ობოლაძე –ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

თამარ ოძელაშვილი –სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ბერძულიშვილი –მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

ლია ნეფარიძე –სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ბალხამიშვილი–ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ- ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248385340

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. ბათუმი
იურიდიული მისამართი	გრიგოლ ელიავას ქ.N 15
ფაქტობრივი მისამართი	გრიგოლ ელიავას ქ.N 15
საფოსტო ინდექსი	6000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Batumi 27@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	5595117069

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის** **დირექტორის ბრძანება № 23 0000718078; 19/06/2023წ**
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	18-19.07.2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

		პროგრამის საფეხური	**პროგრამის განხორციელების ენა**	**პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**დაწყებითი**	**ქართული ენა**	**ქ. ბათუმი** **გრიგოლ ელიავას ქუჩა N15**
2	**ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საბაზო**	**ქართული ენა**	**ქ. ბათუმი** **გრიგოლ ელიავას ქუჩა N15**
3	**ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	**საშუალო**	**ქართული**	**ქ. ბათუმი** **გრიგოლ ელიავას ქუჩა N15**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 18-19 ივლისს, სსიპ ქალაქ ბათუმის # 27 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ ბათუმის # 27 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები სკოლის ყველაზე ქმედითი რგოლია. საგნობრივი კათედრის წევრები აქტიურ კომუნიკაციაში იმყოფებიან ერთმანეთთან, იკრიბებიან და ერთობლივად გეგმავენ გასატარებელ ღონისძიებებს, კათედრის ფარგლებში მასწავლებლები ერთად მუშაობენ, საგნობრივ კურიკულუმებზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. ასევე აღსანიშნავია ინკლუზიური სწავლება, სკოლას ყავს კვალიფიციური და მოტივირებული სპეციალური მასწავლებელი, რომელიც მუდმივად ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებზე და ქმნის მოსწავლეების განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒**შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒**შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒**შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
სტანდარტი 3	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 300	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა მეტწილი შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **დაწყებითი საფეხური**	**ხარვეზი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საბაზო საფეხური**	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **საშუალო საფეხური**	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა**	
ინდიკატორი 3.1.2.4.	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (30.09.2023) სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე დაასაქმოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრი.*
ინდიკატორი 3.2.1.1	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.23) შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*
ინდიკატორი 3.3.2.1.	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.11.23) უზრუნველყოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის საფუძველზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება*
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში(10.07.2024) უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა დ სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა და ამავე*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

		ბრძანებით გათვალისწინებული მედიკამენტების შეძენა. ასევე, მოიპოვის დასკვნა შენობა–ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და დასკვნა შენობის მდგრადობი შესახებ, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა შეათანხმოს შესაბამის ორგანოსთან, აგრეთვე სკოლის ლაბორატორიაში დაიცვას უსაფრთხოების წესები.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.09.2024)უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობა სკოლის ყველა კაბინეტზე, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიაზე და ბიბლიოთეკაზე.
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023) უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით.
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023) უზრუნველყოს სკოლის შესახებ ინფორმაციის განთავსება.
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.11.2023) განათავსოს ვებგვერდზე ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	*და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლ პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 4.2.1.1	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობის მექანიზმი*	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (01.11.2023) შეიმუშაოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*	***სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა, რათა უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.12.2023- მდე)***
	საბაზო საფეხური	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორი 2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*	***სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა, რათა უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.12.2023- მდე)***

	საშუალო საფეხური	
ინდიკატორი 2.2.2.5	*სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;*	***სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა, რათა უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში (01.12.2023- მდე)***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;*	*სასურველია სკოლამ შეიმუშაოს გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე პერსონალის განვითარების გეგმა*
ინდიკატორი 3.4.1.1.	*სსკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებ რეაგირებას და პირველადი დახმარებ აღმოჩენას;*	*სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფაფრთხოების სპეციალისტის არსებობა*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური**	**რჩევა**
ინდიკატორი 2.1.1.1	*კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას*	*კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაზუსტდეს ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში / დახვეწაში; კურიკულუმის შემუშავების პროცესის დიზაინი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე.*
ინდიკატორი 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მოხდეს საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფა, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ. შეირჩეს კომპლექსური დავალებების პირობები, კონტექსტ-მაგალითები, შესაბამისი სასწავლო რესურსები, რათა უზრუნველყოს მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული განვითარება და მაღალი სააზროვნო უნარების მობილიზება.*
ინდიკატორი 2.1.2.2	*კურიკულუმები მიემართება ეროვნუ პერსონალის განვითარება ხორციელდება*	*საგნობრივ კურიკულუმებში გაიწეროს 2023-24 სასწავლო წლისთვის განსახორციელებელი აქტივობები (პროექტები, საკლუბო და საწრეო სამუშაო...)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; ლი სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)	რომლებიც გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) უფრო მეტად განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	შეიქმნას 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა საგანში, ყველა კლასში, თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გათვალისწინებულ იქნას დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
ინდიკატორი 2.2.2.6	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.	გაიწეროს დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში აისახოს მონაცემთა მიზნობრიობა, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესები, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განისაზღვროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

		ინდიკატორები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები და შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები.

აღსანიშნავია, რომ რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც – ,,არ შეესაბამება" (პირველ სტანდარტთან მიმართებაში ინდიკატორი 1.1.1.1.; 1.1.1.5; 1.2.1.1; 1.2.1.2; 1.2.1.3; 1.2.1.4; 1.2.2.1; მესამე სტანდარტთან 3.3.1.1 და მეოთხე სტანდართან მიმართებაში 4.1.1.1;) შეფასდა სრული შესაბამისობით. ხოლო "მეტწილი შესაბამისობით" შეფასდა მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტთან მიმართებაში(ინდიკატორი 3.1.2.4;3.2.1.1.;3.3.2.1;3.4.1.1.;3.5.1.3.;3.6.3.4.;3.6.3.5.;) და მეოთხე სტანდართან მიმართებაში (ინდიკატორი 4.2.1.1;) .

რაც შეეხება მეორე სტანდარტის ინდიკატორების ნაწილს (დაწყებით საფეხურზე-2.2.2.5; საბაზო საფეხურზე-2.2.2.5; საშუალო საფეხურზე-2.2.2.5 ;)ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ხოლო რიგი ინდიკატორები (დაწყებითი საფეხური-2.2.2.1, საბაზო საფეხური-2.2.2.1, საშუალო საფეხური-2.2.2.1) შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, წარმოდგენილი იყო უკვე შესრულებული სახით - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1.სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

2სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1_სკოლამ წარადგინა 2022-2023 სასწავლო წლის მისია, რომელიც, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მოქმედი მისია თავისი შინაარსით შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან მასში დეკლარირებულია ისეთი დებულებები როგორიცაა: ჩამოუყალიბოს მოსწავლეს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, განუვითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა და აღზარდოს მაძიებელი და შემოქმედი თაობა. ამასთან როგორც დირექციასთან ინტერვიუს დროს დადგინდა, მიმდინარეობს ახალი მისიის შემუშავების პროცესი, შექმნილია რამდენიმე ვერსია და 2023-2024 წლის დასაწყისისთვის იგეგმება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მისი განხილვა. **ვინაიდან სკოლას არ ქონდა შემუშავებული ხედვა არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა 2023-2024 წლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, რომლითაც , დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფია, შესწავლისას დადგინდა, რომ სკოლის ფილოსოფია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2. მისიიდან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, ვინაიდან მისიაში სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განვითარების გზაში, შეუქმნას სათანადო პირობები, ჩამოაყალიბოს მოაზროვნე, მაძიებელ და პასუხისმგებელ პიროვნებად, დაეხმაროს საკუთარი მიღწევების გამოყენებაში. ასევე, მისიით სკოლა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ყველა პირობის შექმნას, რათა მომზადებულნი შეხვდნენ ცხოვრების მოთხოვნებს, როგორც პროფესიის არჩევისას ასევე შრომით საქმიანობაში. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ არსებობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ფილოსოფიის სრულყოფისათვის სასურველია შეიმუშავდეს ხედვის დოკუმენტი. **სკოლა მისიით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს 1.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3 .სკოლის 2022-2023 წლის მისია განხილულია პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. ასევე როგორც დირექტორთან ჩატარებული ინტერვიუთი დგინდება სამომავლოდ იგეგმება აღნიშნულ დოკუმენტების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ფართო მასების ჩართულობა. თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ხედვა და ღირებულებები , რაც სკოლის ფილოსოფიას სრულყოფს.**წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება სკოლის მისიის საჯაროდ განხილვის საკითხები 1.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.სკოლის მიერ 2022-2023 წელს შემუშავებული მისია გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, რითაც დასტურდება მისი გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმი და ასევე შექმნას ვებ-გვერდი, სადაც კიდევ უფრო ფართო მასებს ექნებათ შესაძლებლობა გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტებს. **წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება სკოლის მისიის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ 1.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5.სკოლის 2022-2023 წელს შემუშავებული მისია წარმოადგენს ამავე წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელ ნაწილს, ასევე გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას, რომელთან წვდომაც აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და შესაბამისად, საჯაროდაა ხელმისაწვდომი. რადგან სკოლის ფილოსოფია სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი, კერძოდ ხედვა და ღირებულებები არ იყო შემუშავებული **. 1.1.1.5. ინდიკატორთან მიმართებით შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, რომლითაც, დამტკიცებულია სკოლის ფილოსოფია, ასევე შეტანილია სასკოლო სასწავლო გეგმაში და შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ ბათუმის № 27 საჯარო სკოლა, რაც გამომდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებიდან ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. **დოკუმენტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს 1.1.1.6. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

საინფორმაციო დაფა;

2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

2022-2023 სასწავლოს წლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი #1;

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა განხილულია სამეურვეო საბჭოს # 2 სხდომაზე, აღნიშნული საკითხის განხილვისას იკვეთება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, თუმცა არაფორმალური განათლების პრიორიტეტულ მიმართულებად დასახვა, რომლებიც წამოჭრილია აღნიშნულ სხდომაზე გეგმაში გათვალისწინებული არაა. **სკოლას ვიზიტის ეტაპზე არ ქონდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად 1.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 წლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, სადაც , დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, დოკუმენტში გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, პირველ ეტაპს წარმოადგენს სკოლის პერსონალის, ბენეფიციარების და სხვა დაინტერესებული პირებისგან ინფორმაციის შეგროვებას. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.სკოლის მიერ წარდგენილი 2022-2023 წლის სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, რომელიც „სტრატეგიული ხედვითაა“ დასათაურებული არ არის შვიდწლიანი, ციკლური. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სტრატეგიული გეგმის მიხედვით გამოკვეთილი მიმართულებები, როგორიცაა- ტენდენციები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთათვის მოტივაციის ამაღლება, მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ნაკლებად შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და შესაბამის ამოცანებს, ასვე სტრატეგიული გეგმა არ ეფუძნება სკოლის მისიას და მისი შინაარსიდან გამომდინარე , თავსებადობა მისიასთან და მიზნების შესაბამის ამოცანებთან განუხილველი რჩება. **ყოველივეს გათვალისწინებით სკოლამ 1.2.1.2. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა 2023-2024 წლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1, სადაც , დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა გეგმა, რომელიც მოიცავს შვიდწლიან ციკლს, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას, მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

3.სკოლის მიერ წარდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ნაკლებად ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას, მასში ასახულია სტრატეგიული გეგმის შემდეგი რამდენიმე მიმართულება- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, თუმცა დარჩენილი საკითხების როგორიცაა ორგანიზაციული განვითარება, სასკოლო დოკუმენტაციის განვითარება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინური გარემოს უზრუნველყოფა და სხვა არ ეფუძნება სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმას. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმში (№1) საუბარია იმაზე, რომ ერთწლიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამოქმედო გეგმა ძველი წლის სამოქმედო გეგმის ანალიზზეა დაფუძნებული და ითვალისწინებს სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, თუმცა თავად გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი სკოლამ ვერ წარადგინა. **გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდებოდა სრული თავსებადობა სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმას შორის სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.1.3. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა 2023-2024 წლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1, სადაც , დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა გეგმა, და ამავე წლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 სადაც დამტკიცებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება სამოქმედო გაგმასა და სტრატეგიულ გეგმას შორის თავსებადობა შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4.სკოლის მიერ წარდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში , ნაწილობრივაა გაწერილი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელ პირებთან და რეალისტურ ვადებთან ერთად, თუმცა არ იკითხება კონკრეტული საკითხებისათვის შესაბამისი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და საჭირო რესურსები. **სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად 1.2.1.4. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 სადაც დამტკიცებულია ახალი 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც არის მისიასთან თავსებადი მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და შესრულების ინდიკატორები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი#1

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2.მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ვერ წარადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მხოლოდ სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმში იკითხება სამოქმედო გეგმის განხილვის დეტალები. როგორც დირექციასთან ჩატარებული ინტერვიუთი დგინდება, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მეთოდოლოგიის შემუშავებას. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.2.1. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა 2023-2024 წლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1, სადაც , დამტკიცებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

2.როგორც სამეურვეო საბჭოს სხდომაზე (ოქმი#1) იკვეთება, სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით, თუმცა, სასურველია შემუშავდეს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, აქვე დირექციასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მუდმივად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის შესრულების ხარისხის გადახედვა, და დღეის მდგომარეობით უკვე არსებობს მომავალი წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც სწავლის დაწყებამდე სასკოლო საზოგადოებას წარედგინება. **სკოლამ წარადგინა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების დამადასტურებელი მასალა ინდიკატორი1.2.2.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, იკვეთება სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობა (სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი# 1) **მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დასტურდება სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგების საჯაროობა, სკოლას აქვს მზაობა რომ მომავალში უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტების განხორციელების შედეგების გასაჯაროება. ინდიკატორი1.2.2.3. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გარკვეული მექანიზმები იკვეთება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ სკოლამ ვერ წარადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის გაწერილი დოკუმენტი. **სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით ხერხდება იმის დადგენა, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, 1.2.2.4ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

სამოქმედო გეგმა;

სტრატეგიული განვითარების გეგმა;

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი#1

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი გარკვეული მასალების შესწავლით და რიგითი საკითხების დაზუსტების გზით დადგინდა, რომ სკოლის სტრუქტურა შედგება: დირექციისაგან, ადმინისტრაციისაგან, ტექნიკური პერსონალისაგან, სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოსაგან. თითოეული რგოლის წარმომადგენელთან დადებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც ჩანს ფუნქცია-მოვალეობები. ასევე სკოლაში მოქმედებს ქართული ენის, მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების, უცხო ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, დაწყებითი კლასების, ესთეტიკისა და ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კათედრები. არსებობს დისციპლინური კომიტეტი და მოსწავლეთა თვითმმართველობა. უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების მიხედვით იქმნება სხვადასხვა კოლეგიური ორგანო, რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას. მაგ.: მრჩეველთა საბჭო, ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლას აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. თითოეული ორგანიზაციული სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N06 ბრძანების, N167 ბრძანების, ასევე, სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. თანამშრომელთა უფლებამოსილებები გადანაწილებულია ასევე თითოეული თანამშრომლის შრომით ხელშეკრულებებში. **სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ახსნა-განმარტების შედეგად დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ერთეულების და პირების ფუნქციები განსაზღვრულია, შესაბამისად, ყოველივე ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას 3.1.1.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2 .სკოლის მიერ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, იკვეთება, რომ სკოლის ძირითადი საქმიანობის განხორციელება ხელშეწყობილია ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის მიზნობრივად გადანაწილებით, აღნიშნულ დოკუმენტში ძირითადი მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი საჭირო ადამიანური რესურსი ფუნქციების შესაბამისადაა განსაზღვრული. ასვე თანამშრომლების საქმიანობის ფუნქციები შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს თითოეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, ყოველივე თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას. **სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, 3.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

თვითმმართველობის დებულება;

დისციპლინალური კომიტეტის დებულება;

მრჩეველთა საბჭოს დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამეურვეო საბჭოს დებულება;

მასწავლებლის კარიერული წინსვლისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება;

სკოლის შინაგანაწესი;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასალების გაცნობის შედეგად დაგინდა, რომ პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21^3 მუხლი21^3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. **დადგინდა, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად 3.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.დირექციასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში პერსონალის მართვის საჭიროებებს პერიოდულად იკვლევენ. მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი, შესაბამისად დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე ინტერვიუთი დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. ასევე საგნობრივ კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრებების პრაქტიკა, სადაც პედაგოგები ახდენენ განმავითარებელ შეფასებას და კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ საუკეთესო გამოცდილებებს. ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი სკოლამ ვერ წარადგინა, თუმცა იკვეთება რიგი ასპექტები რომლებიც, ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას. **წარმოდგენილი მასალებიდან დგინდება რომ 3.1.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლაში ვაკანტური ადგილების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები და პირობები, განსაზღვრულია კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე (https://teacherjobs.ge/). დირექტორის ბრძანებით შექმნილია საკონკურსო კომისია. წარმოდგენილი საკონკურსო სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ კომისიის წევრები წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებენ თითოეულ კანდიდატს. **აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. შესაბამისად, 3.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.სკოლის პერსონალის პირადი საქმეებში განთავსებულია მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. სკოლაში დასაქმებულია 38 თანამშრომელი, აქედან 22 მასწავლებელია. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, სკოლა ჰყავს 20 უფროსი და 2 წამყვანი მასწავლებელი. მოწვეული მასწავლებელი დღეის მდგომარეობით სკოლას არ ყავს. კონკურსის წესის თანახმად სკოლაში ასევე დასაქმებულია ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები- 1ასისტენტი და 1 სპეც მასწავლებელი, რომლებიც ემსახურებიან სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს. ასევე სკოლას ყავს 3 დამლაგებელი, 1 ბიბლიოთეკარი, ერთი ცეცხლფარეში, 2 დარაჯი, 1 მატერიალურ ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და 1 დირექტორის მოადგილე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N041/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის'' თანახმად, სკოლას რომელსაც ყავს 50 მოსწავლეზე მეტი მოეთხოვება ექიმის შესაბამისი კვალიფიკაციური კადრის ყოლა. ექიმის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმებული ყავთ ექთანი, რომლის განათლება და დაკავებული პოზიცია არ შეესაბამება ექიმისთვის კანონმდებლობით და სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციით წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან სკოლამ აღნიშნულ პოზიციაზე კვალიფიციური კადრის შერჩევის მიზნით ჩატარებული არაერთი კონკურსის ჩაშლის მასალა (ოქმი) წარადგინა. როგორც დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, აღნიშნულ პოზიციაზე საკმაოდ რთული აღმოჩნდა კვალიფიციური კადრის აყვანა, რის შედეგადაც სკოლამ წერილობით მიმართა ადგილობრივ რესურსცენტრს, ამის შემდგომ განათლების სამინისტრომ, ვინაიდან ექიმის კადრი რაიონებში/რეგიონებში დეფიციტს წარმოადგენს, პასუხად (წერილი # 0230000032825 16/01/2023 წ) დართო ნება სკოლას აეყვანა ექთანი ექიმის ნაცვლად, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად ასევე დადგინდა, რომ სპორტის მასწავლებლად სკოლას კვალიფიციური კადრის აყვანამდე დანიშნული ყავს უსტატუსო მასწავლებელი, რომელთანაც, შესაბამისად გაფორმებულია დროებით არ მყოფი პირის მონაცვლის ხელშეკრულება და ასევე გამოცემულია დირექტორის ბრძანება "სსიპ -ქალაქ ბათუმის #27 საჯარო სკოლაში დროებით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლად დანიშვნის შესახებ", როგორც დადგინდა აღნიშნულ პოზიციაზეც მოხდა არაერთი კონკურსის ჩაშლა. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და დამადასტურებელი დოკუმენტები 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით. დგინდება, რომ ექთნის პოზიციაზე განათლების სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე (წერილი # 0230000032825 16/01/2023) დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი, ხოლო სპორტის მასწავლებლის პოზიციაზე გამოცხადებულია კონკურსი კანონმდებლობის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად კი მითითებულია 21.08.23 -30.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის არსებობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს, ერთობლივ პროექტებს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროცედურებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები. შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. **დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, 3.1.2.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. კერძოდ კათედრის ფარგლებში ხდება პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება- პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა კათედრის პედაგოგებთან, პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას, ასევე, კათედრის ფარგლებში ტარდება და იგეგმება სხვადსხვა სახის აქტივობები.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: მუხლი 10-ში განხილულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი-" პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს

წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) სიგელით დაჯილდოება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;

ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.”

აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და 3.1.2.6 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის შინაგანაწესი;

ღია კონკურსის ჩატარების მასალები;

მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის მასალები;

თანამშრომელთა პირადი საქმეები;

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. როგორც ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, სკოლაში ხორციელდება მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესი, როგორიცაა სხვადასხვა ორგანიზაციების ტრენინგებში მონაწილეობა, პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემა და მიზნობრივი თანამშრომლობა. პროფესიული განვითარება მიმდინარეობს კათედრის ფარგლებშიც, კოლეგები მხარს უჭერენ ერთმანეთს და მუშაობენ გუნდურად, საგნობრივ კურიკულუმებს ადგენენ ერთობლივად. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. პროფესიული განვითარების მიზნით ღონისძიებების განხორციელება გაწერილია სკოლის ერთწლიან გეგმაში. თუმცა არ არის აღწერილი როგორ ხდება სკოლაში დასაქმებული სხვა დანარჩენი პერსონალის *შეფასება და საჭიროებების დადგენა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სკოლამ შეიმუშაოს* პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება სკოლაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობის შეფასების გამჭირვალე მექანიზმები. განსაზღვროს შეფასების მნიშვნელობა, შეფასების გავლენა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასებაში ჩართული პირები, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებში ასახვის ფორმები. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01. 10.. 2023 - 30 .11. .2023 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.როგორც ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობას სკოლა ახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნით არსებული აქტივობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების გზით. ასევე პედაგოგიურ საბჭოზე წარმოდგენილ საჭიროებათა ნუსხას დირექცია გვერდს არ უვლის და შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს შეიძინოს. ამასთან სპეც მასწავლებელი რეგულარულად აწვდის დირექციას საჭირო რესურსებს, რასაც ხშირ შემთხვევაში იძენს სკოლა. ასევე კათედრების მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლებს გათავისებული აქვთ ვალდებულება წლის განმავლობაში დაესწრონ პროფესიული სქემით განსაზღვრულ სავალდებულო ტრენინგებს თითოეული სტატუსისთვის განსაზღვრული ხანგრძლივობით, რაშიც სკოლა ხელს უწყობს და აწვდის ინფორმაციას მასწავლებლის სახლის მიერ ტრენინგების ორგანიზების თაობაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსის (მათ შორის პერსონალის) მართვის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, საჭიროების მიხედვით პერსონალის განვითარების გეგმა და არც კვლევის ელემენტები იკითხება წარმოდგენილ დოკუმენტებში, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობას. **თუმცა ვინაიდან სკოლას აქვს პერსონალის განვითარებისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირების გარკვეული პრაქტიკა 3.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. როგორც დირექციასთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად დადგინდა , სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს პერსონალს კარიერულ ზრდაში, კერძოდ, პროფესიული განვითარების ხელშეწყობას სკოლა ახორციელებს პროფესიული განვითარების მიზნით არსებული აქტივობების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების გზით. მასწავლებლებს გათავისებული აქვთ ვალდებულება წლის განმავლობაში დაესწრონ პროფესიული სქემით განსაზღვრულ სავალდებულო ტრენინგებს თითოეული სტატუსისთვის განსაზღვრული ხანგრძლივობით, რაშიც სკოლა ხელს უწყობს და აწვდის ინფორმაციას. ასევე სკოლაში მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერული წინსვლის შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სასწავლ წელს სკოლას არ ყავს მაძიებელი მასწავლებელი, დირექტორის თქმით, წინა წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლა ზრუნავს მაძიებელი მასწავლებლის კარიერულ ზრდაზე, რისთვისაც საზღვრავს ტუტორს და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს მაძიებლის სტატუსის ამაღლებისათვის.

ასევე სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი აქტივობები. **წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას , 3.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში, თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მარეგულირებელი წესები, შემუშავებული არ არის, თუმცა დირექტორის განმარტებით, სწავლის დაწყებამდე, ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს აცნობენ, ასევე სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ეხმარება ახალ კადრს Eflows-სა და eSchool-ის ბაზებში პროფილის გახსნაში და უხსნის მას სარგებლობის წესებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს მაძიებელი მასწავლებელი წინა წლების გამოცდილებით თუ ახალმიღებული კადრი მასწავლებლობის მაძიებელია, ხდება ტუტორის მიმაგრება, რომელიც ეხმარება მას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სხვადასხვა აქტივობების წარმატებით განხორციელებაში. **სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის გარემოსთან ინტეგრაციის პრაქტიკა, შესაბამისად, 3.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია წახალისების ფორმები, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის. როგორც დირექციასთან ჩატარებული ინტერვიუს და გამოთხოვილი მასალების გაცნობის შედეგად დადგინდა სკოლაში ხშირად უცხადებს თანამშრომლებს მადლობას, ასევე აჯილდოებენ სხვადასხვა სახის სიგელებით **სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია 3.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შინაგანაწესი;

მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის მასალები.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის ფარგლებში ვერ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.3.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ, რომელშიც გაწერილია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებული აქტივობების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში. შრომით ხელშეკრულებებში გაწერილია პერსონალის ფუნქციები. შემუშავებულია საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება, პერსონალის შერჩევის წესი, სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა. **აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას აქვს გაწერილი მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები , რომელიც სრულად მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის აუცილებელ რეგულაციებს. 3.3.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სკოლაში დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში. ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის" თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. **შესაბამისად დგინდება, რომ სკოლაში არსებობს საჩივრის განხილვის სისტემა 3.3.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4 სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები სკოლაში სარგებლობენ თავიანთი უფლებითა და თავისუფლებით თანაბრად. თანამშრომელთა და სკოლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. მოსწავლის და მშობლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებებში. პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვისთვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. **აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში არსებობს საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. 3.3.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

სკოლის შინაგანაწესი;

დასაქმებულთან და მშობელთან/კანონიერი წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

ბიბლიოთეკის დებულება;

საქმის წარმოების წესი;

ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების მასალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 .სკოლის მმართველ კოლეგიალურ ორგანოებში მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის წევრობა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას. ამასთან დამრიგებელს ევალება სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს სკოლის ნორმატიული აქტები: შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. მშობელთა ინფორმირებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით შექმნილია კლასის დახურული ჯგუფები, რომელთა საშუალებით უზრუნველყოფილია ინფორმაციის გასაჯაროება და შესაბამისი უკუკავშირი.**სკოლამ ვიზიტის ეტაპზე ვერ წარადგინა რეაგირების დამადასტურებელი მტკიცებულებები, თუმცა არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 3.3.2.1. ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-01.11..2023 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში შეიმუშაოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმები.

.

2. სკოლის სხვადასხვა ტიპის მართვის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრებით. კერძოდ:

- სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თითოეული საფეხურის მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი. სამეურვეო საბჭოში ყოფნით ისინი მონაწილეობენ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორიცაა დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება, საჩივრების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის შეთანხმება და სხვა.

- პედაგოგიური საბჭო, რომელშიც პედაგოგების სრული სიითი შემადგენლობა შედის, იღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა, თავისი წარმომადგენლის არჩევა სხვადასხვა კოლეგიელურ ორგანოებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- საგნობრივი კათედრები, სადაც გაერთიანებულები არიან მასწავლებლები საგნების მიხედვით. კათედრები ირჩევენ სახელმძღვანელოებს, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს.

- დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში, თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია განიხილოს დისციპლინური გადაცდომები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობა აირჩევა სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 1თვის ვადაში. თვითმმართველობა იცავს მოსწავლეთა ინტერესებსა და უფლებებს.

- მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსცენტრის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭო განიხლავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

- სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი. მოსწავლის მშობელი მონაწილეობას იღებს შვილის განვითარების პროცესში.

როგორც ინტერვიუთი დგინდება მშობლები აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში, მუდმივად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და სკოლის დირექციასთან. იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა, შესაბამისად, 3.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

.

სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

მშობელთა კრების ოქმები;

პედაგოგიური საბჭოს ოქმები;

თვითმართველობის ოქმები;

ინდივიდუალური საჭიროების გეგმა;

კათედრის ოქმები;

სამეურვეო საბჭოს ოქმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ემსახურება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის მანდატური,თუმცა სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლაში სამედიცინო კაბინეტი სრულად არ არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების თანახმად. კერძოდ არ არის ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილი მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით. აგრეთვე სკოლას არ აქვს შეძენილი ზემოთ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული არც ერთი მედიკამენტი. სკოლის დირექტორმა და ექთანმა ექსპერტთა კითხვაზე , თუ როგორ ახერხებს სკოლა პირველადი დახმარების აღმოჩენას , გვიპასუხა, რომ სკოლას არ ჰქონდა ბიუჯეტი წამლების შესაძენად, თუმცა მომავალში გაითვალისწინებდა და უზრუნველყოფდა აუცილებელი მედიკამენტების შეძენას. სკოლის ლაბორატორიის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ლაბორატორიაში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, კერძოდ, ლაბორატორიული ჭურჭელი, მულაჟები, ხელსაწყოები და ქიმიური ნივთიერებები არაა შენახული დაცულ კარადაში, საკლასო ოთახისგან გამოყოფილ სივრცეში (საპრეპარატო ოთახში), ასეთი ოთახი ლაბორატორიის გვერდით არსებობს, თუმცა გამოიყენება სხვა მიზნით (მასში არქივია განთავსებული). ლაბორატორიაში არ არის წყლის ონკანი, კარადები, რომელშიც/რომელზეც მოთავსებულია ქიმიური ჭურჭელი და რეაქტივები საკმაოდ მოძველებულია, არ არის მყარი და დაცული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებამ მიმდინარე წლის 06 ივლისს წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას პასუხი მიღებული არ ჰქონდა.

2023 წლის 11 ივლისს სკოლამ ასევე წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და ითხოვა სკოლის შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017 წლის 12 დეკემბერს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N23/9/1 -სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრის თანახმად დაწესებულებას განესაზღვრა შესრულების ვადები 2018 წლის ბოლომდე, თუმცა სკოლის მხრიდან შესაბამისი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, სკოლას არ გააჩნია საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა, ვერ დგინდება შენობის ტექნიკური მდგომარეობა(მდგრადობა), სკოლამ არ განახორციელა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობის თანახმად დარღვევების აღმოფხრვრა.**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 11.07.2023-10.07.2024 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილი რეგულაციების საფუძველზე სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული მედიკამენტების შეძენა. ასევე, მოიპოვის დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ და დასკვნა შენობის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მდგრადობის შესახებ, საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა შეათანხმოს შესაბამის ორგანოსთან, აგრეთვე სკოლის ლაბორატორიაში დაიცვას უსაფრთხოების წესები.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და მანდატური, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, შესაბამისად **3.4.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის გარემოს რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რომლის მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. აქტიურად თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის თანამშრომლებთან, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭოც. შესაბამისად **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსოში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. **შესაბამისად 3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც გაწერილია: მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირი და მათი უფლებამოსილება. თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით რეგულირდება პერსონალური მონაცემების დამუშავების, გამოყენების და გავრცელების წესი.

სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე. ელექტრონულ სისტემაში სკოლის მონაცემთა ბაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით" დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. მონაცემთა დაცვის მონიტორინგი, განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.**3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7.ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **3.4.1.7. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პირობების შემოწმების მიზნით;

წერილი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შემოწმების მიზნით;

სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები";

2017 წლის 12 დეკემბერს სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N23/9/1;

შეფასება:

0 *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

0 *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ქალაქ ბათუმში გრიგოლ ელიავას ქ.N15-ში. სკოლის შენობა 3 (სამი) სართულიანია. საჯარო რეესტრის(2016 წლის) ამონაწერის მიხედვით, შენობა განთავსებულია 3954.კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 2122.7 კვ. მ -ია (ნაგებობა N1). უძრავი ქონების საკადასტრო კოდია № 05.32.14.095 სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს უვადო სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 12 საკლასო ოთახში, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული), ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლოს, მანდატურებისათვის განკუთვნილი ოთახები, რესურსოთახი და სხვა ძირითად და დამხმარე სივრცეები. ყველა სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები. მათ შორის არის ადაპტირებული სველი წერტილიც. აღსანიშნავია ,რომ დერეფანში მეტლახი ამორტიზირებული და დაზიანებულია, რაც რისკის შემცველია სკოლის საზოგადოებისთვის.
სკოლის შენობაში არის სპორტული დარბაზი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იყო დაზიანებული და აჭარის ა.რ. განათლების სამინისტროს გამოცხადებული ჰქონდა ელექტრონული ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. **3.5.1.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი (ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაზიანებული იყო), ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის რესურსს ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.
3.5.1.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც მუშაობს სპეციალური მასწავლებელი. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას. თუმცა სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის. კერძოდ, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი, პირველ სართულზეა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ადაპტირებული სველი წერტილი. მაგრამ, შენობაში ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ყოველივე ამის გათვალისწინებით **სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-30.09.2024 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობა სკოლის ყველა კაბინეტზე, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიაზე და ბიბლიოთეკაზე.**

4. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. **3.5.1.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები:

ისტ-ის მიმართულებით მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თუმცა არ არის აღჭურვილი გამწოვი სისტემით. ლაბორატორიული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სადემონსტრაციო მაგიდები არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური წყლის ონკანებით. კარადებში განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ქიმიური რეაქტივები არ არის მარკირებული და ინახება უსაფრთხოების წესის დარღვევით.

სპორტის გაკვეთილებისთვის-სკოლაში არის სპორტული დარბაზი, თუმცა საჭიროებს რეაბილიტაციას და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერი.

კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, თუმცა არ არის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ასევე არ არის კომპიუტერი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნების ნაწილი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, ხოლო 2022-2023 სასწავლო წელს მიღებული მხატვრული ლიტერატურა დღემდე არ არის დამუშავებული სათანადო წესით. ბიბლიოთეკარის განმარტებით შეიცვალა კლასიფიკაციის წესი და იგი კონსულტაციებს გაივლის მეთოდისტთან და ამის შემდეგ უზრუნველყოფს ახალი წიგნების დამუშავებას.

წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას, თუმცა სპორტის გაკვეთილებისთვის საჭიროა, მოხდეს არსებული სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში მასწავლებლებმა უზრუნველყონ უსაფრთხოების წესების დაცვა.

3.5.1.5.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

სკოლის აზომვითი ნახაზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შენობის ვიზუალური დათვალიერება;

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);

კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

შეფასება:

0 *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

0 *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესებისათვის საჭირო, პროგრამულად გამართული კომპიუტერებით. სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს კომპიუტერული ტექნოლოგიების განახლებას, მის პროგრამულ უზრუნველყოფას და ელექტრონული რესურსების დანერგვას. სკოლა ითვალისწინებს რა თანამედროვე გამოწვევებს ციფრულ სამყაროში, გეგმავს სასკოლო საზოგადოების თვითშეფასებაზე დაყრდნობით შექმნას ერთწლიანი ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა. სკოლას აქვს 43 კომპიუტერი (პერსონალური და პორტატული), 1 პროექტორი, მრავალფუნქციური პრინტერი. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია ისტ-ის მასწავლებელი.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა ყველა საგაკვეთილო პროცესი ტექნიკის დახმარებით განხორციელდეს, სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. **3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლაში უზრუნველყოფილია ტექნიკის განაწილების და საზიარო სივრცეების მოწყობის განრიგი, ციფრულ ტექნოლოგიებთან თავისუფალი წვდომა აქვს ადმინისტრაციას, მასწავლებლებს და მოსწავლეებს. სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც ტარდება ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილი, სკოლა უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც არა აქვთ ოჯახში ინტერნეტზე წვდომა. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ვიზუალური დათვალიერება;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1 სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი აღგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. **3.6.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: Batumi27@mes.gov.ge, სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **3.6.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.**3.6.2.3.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. დაწესებულება ქალაქ ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.**3.6.2.4.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დირექტორის ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;

სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);

Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლას არ აქვს ვებ გვერდი. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წერილობით მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. აგრეთვე დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლა აქტიურია სოციალურ ქსელში, გარდა სკოლის ოფიციალური გვერდისა, სოციალურ ქსელში შექმნილია მიზნობრივი ჯგუფები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 19.07.2023-30.11.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდიდან. **3.6.3.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე**3.6.3.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება**

4. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად სკოლას არ აქვს ვებ. გვერდი, თუმცა, იგეგმება პორტალის შექმნა, სადაც განთავსდება სრული ინფორმაცია სკოლის შესახებ. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 3.6.3.4. ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 19.07.2023-30.11.2023 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით.**

5. სკოლას არ აქვს განთავსებული სკოლის გვერდზე, სოციალურ ქსელში ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები.**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 3.6.3.5. ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 19.07.2023-30.11.2023 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია განათავსოს ვებგვერდზე ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები,შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში.

დასტურდება (მტკიცებულებები)

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვებ გვერდის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენცია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;

სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;

სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის საჭიროებებს,შესაბამისად სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელებას .**3.7.1.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები.

3.7.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;

სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება – სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ".

სსიპ სსიპ ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს დარაჯი,

მანდატური, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. სკოლის მიერ არ არის შემუშავებული ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია ,რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს.**სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 4.1.1.1. ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება, სკოლაში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ და ბრძანება სკოლის „ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.**

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით. ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ. **4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. **4.1.2.1. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები.**4.1.2.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოცილურ ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი **4.1.2.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია საქმისწარმოებელი. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. მომავალ წლებში სკოლა გეგმავს კითხვარების შემუშავებას სასურველი თემების განხილვის მიზნით. **4.1.2.4. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

დამრიგებლის დებულება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდება პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობს სასკოლო გარემოს, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში. თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს შემუშავებული მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, შესაბამისად **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც 4.2.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-01.11.2023 შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეიმუშაოს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.**

2. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის გამოცხადების გზით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. სკოლა, ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დასკვნის მომზადებას. მშობლის მიერ აღიარების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ, მოსწავლის და მშობლის სურვილის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას. **4.2.1.2. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. **4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში.**4.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები ,თუმცა მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩართულია სასკოლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი, რომელიც ახორციელებს დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. **4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. .ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული 4.2.1.6. **ინდიკატორი ვერ** შეფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამრიგებლის სამუშაო დებულება;

კლუბის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არ აქვს შემუშავებული მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა. თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა მოსწავლეთა კრების ოქმი, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება მოსწავლეებს საინტერესო პროფესიის შესახებ, აგრეთვე პროფესიული სასწავლებლების „ბლექსის“ და „ანრის“ შესახებ.სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს შესაბამისი დოკუმენტი რომლის მიზანი იქნება მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა, მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური ცოდნის და ინტერესების გაღრმავება და თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება. **4.2.2.1.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. **4.2.2.2.ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3.ვინაიდან დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციას აღნიშნული **4.2.2.3. ინდიკატორი ვერ შეფასდება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი 4.2.3.1 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე.

ინდიკატორი 4.2.3.2 შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსსმ გეგმა;

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპისთვის სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის კვების ობიექტი რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. **ინდიკატორი 4.2.4.1. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კვების სერვისი ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი 4.2.4.2. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლება დაწესებულებას მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის გავლით,კერძოდ დაწესებულებამ ზემდგომი ორგანოს ნებართვის საფუძველზე გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი და გამარჯვებულთან გააფორმა იჯარის ხელშეკრულება. კვების მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **4.2.4.3. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დადებული იჯარის ხელშეკრულება;

ზემდგომი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა;

ელექტრონული აუქციონის ჩატარების დამადასტურებელი მასალა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხური**	**შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების წევრების განწყობებისა და შეხედულებების შესწავლის მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გამოსავლენად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი ზოგადია. სკოლა გეგმავს დოკუმენტის მოდიფიცირებას, სადაც მკაფიოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

იქნება განსაზღვრული: ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში / დახვეწაში; კურიკულუმის შემუშავების პროცესის დიზაინი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე.

ამ სახის ინფორმაცია იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში, თვითშეფასების დოკუმენტში, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრის ოქმებში, საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ ანგარიშში, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან, კათედრების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლოდ გეგმავს წარმოდგენილ „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში კონკრეტულად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ, რა ინსტრუმენტებით მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც სწავლა-სწავლების მიზნები და სასწავლო პროცესია აღწერილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრის, მშობელთა კრების ოქმები, დამრიგებლისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. **აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვთ ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. 2.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები, რაც დასტურდება სასკოლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმებში, კათედრების ანგარიშებში, აგრეთვე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებში ხაზგასმული ნიუანსებით, კერძოდ, საგნობრივი კათედრების პედაგოგებმა, დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში საგნის მასწავლებლებსა და კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები, მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს, კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისათვის იმართება ე. წ. მშობელთა დღე, მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენების და შეფასების პრინციპები. ასევე განიხილება თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. **წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ 27-ე სკოლის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო საზოგადოებას აქვს მზაობა, სწორად წარმართოს, განავითაროს კურიკულუმის შემუშავების პროცესები, რაც ასახული იქნება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტშიც. 2.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლის დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასკოლო საზოგადოების წევრები გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტენტებს, ეს დოკუმენტები განხილულ იქნა კათედრებზე და შემუშავდა შესაბამისი საგნობრივი კურიკულუმები. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ყოველი თვის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია, სკოლაში გამოყოფილია საინფორმაციო დაფისთვის კუთხე სიახლეების გასაზიარებლად. სკოლას ამჟამად არ აქვს ვებ-გვერდი, თუმცა ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრისთვის გაგზავნილი წერილი ვებ-გვერდის შექმნისთვის დახმარების თაობაზე. ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ სკოლის მიერ შექმნილი შესაბამისი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. **2.1.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

მშობელთა კრების ოქმი;

სადამრიგებლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო პროექტი- ,,შავი ზღვა შველას ითხოვს".

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც წარმოადგინეს ვიზიტის დროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ წინა წლის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მოახდინონ საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფა, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ. პედაგოგები მუშაობენ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობის, კონტექსტ-მაგალითების შერჩევა/დახვეწაზე, რათა უზრუნველყოს მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული განვითარება და მაღალი სააზროვნო უნარების მობილიზება. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ამ ტიპის დავალებების შესასრულებლად მოსწავლემ ძალისხმევა უნდა გაიღოს, მართოს საკუთარი სწავლის პროცესი, მიიღოს საინტერესო, მოულოდნელი და განსხვავებული გამოცდილება, გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ 2.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, სკოლა ახლაც მუშაობს კომპლექსური დავალების პირობების განვითარებაზე, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. სკოლას აქვს კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები. **2.1.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა საგნებში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელი და ასისტენტი. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **2.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (დაწყებითი საფეხური 5- კლასის მეორე სემესტრიდან). სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. **2.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ სწავლის პროცესში ისინი იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. **2.1.2.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

განმავითარებელი სეფასების რუბრიკები;

მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები;

კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს, მაგ. სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის როლურ თამაშებს, გამომგონებლობებს, მოსწავლეები წერენ ზღაპრებს, ქმნიან უბის წიგნაკებს, პოსტერებს, მაკეტებს, წერენ დღიურებს და ა.შ. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების სწავლების პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილია პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, კომპლექსური დავალებები. საგნობრივი კათედრების (მაგ. საბუნებისმეტყველო კათედრის წლიური ანგარიში, კათედრის სხდომის ოქმები) დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლას აქვს ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობის დროს უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აქტივობებს. შეეცდებიან ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **2.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობით დგინდება, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აშკარაა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალებებით აქტიურად მუშაობენ. გასაუბრებისას გააზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მოსწავლეებს არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, შემდეგ აორგანიზებენ და ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა ნაცნობ თემასთან, საკითხთან, საგანთან. საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით (მაგ. უცხო ენა-პოსტერზე დაყრდნობით მოამზადე პრეზენტაცია შენი მეგობრის პროფილის შესახებ და წარადგინე კლასის წინაშე", იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს სამოქმედო სტრატეგია შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად). სკოლამ წარმოადგინა პროექტები "შავი ზღვა შველას ითხოვს", "კულტურული მრავალფეროვნება". პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. **2.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს სწავლა-სწავლების

მიზნები: მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება აქვს სკოლას, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტებით, საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშით, მასწავლებებლებთან გასაუბრებით, შესაბამისად მეტაკოგნიციაზე აქცენტი მეტად აისახება კურიკულუმში, სასწავლო პროექტებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **2.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) თანახმად, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტები. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის შერჩეული ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **2.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოადგინა სკოლამ. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **2.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო პროექტი-"კულტურული მემკვიდრეობა";

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები (ყველა საგანში, თუმცა არა ყველა კლასისთვის), სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წაწარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი საგნების მიხედვით ასეთია:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე საგაკვეთილო აქტივობები გააზრებული უნდა იყოს მიზნის შესაბამისად. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო I, II, III, IV, V და VI კლასებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება. არის უზუსტობები, რომლებიც უნდა გასწორდეს, კერძოდ:

სკოლამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ბუნებისმეტყველების I, II, III და IV კლასების კურიკულუმის ჩარჩო:

კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან შერჩეულია ორი კომპლექსური დავალება თითოეულ კლასში, წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა სასწავლო პროცესში, გაწერილია სასწავლო რესურსები ზოგიერთ თემასთან მიმართებით, თუმცა უმეტესად არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოს შესამაბისი მასალა.

ბუნებისმეტყველების V და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩო:

კურიკულუმის ჩარჩო 5-ე, 6-ე კლასებისთვის არ არის კარგად ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, თუმცა სამიზნე ცნებებთან არ არის განსაზღვრული შესაბამისი ქვეცნებები. გამოყოფილია თემის ფარგლებში საკითხთა კლასტერები, თუმცა ზოგიერთ ცნებასთან მიმართების არ არის მითითებული ძირითადი საკითხი, რესურსების გრაფა უმეტეს შემთხვევაში ცარიელია. 2023-24 სასწავლო წლისთვის უნდა შეირჩეს შუალედური სასწავლო მიზნები, კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს სკოლა. შეირჩეს შესაბამისი სასწავლო რესურსები, გაიწეროს შეფასების რუბრიკები.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი აჩვენებს, რომ საგნობრივი სტანდარტების მიხედვით არის გათვლილი, მოიცავს სამიზნე ცნებებს, თუმცა ჩვენი საქართველოს საგანში საჭიროებს კურიკულუმის მოდიფიცირებას, რომ თემის ფარგლებში მოიცვას ყველა სამიზნე ცნება.

უცხოური ენები -სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები აჩვენებს მთლიან პოზიტიურ სურათს და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგნობრივი სტანდარტების მიხედვით: სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი და მისკენ მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები ქვეცნებები და საკვანძო შეკითხვები. ქვეცნებები არის ის საყრდენი ერთეულები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს, მათი საშუალებით კი მუშავდება სამიზნე ცნება. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების (ინგლისური მე-2, მე-3 კლასი, რუსული მე-6 კლასი) და პედაგოგების მიერ განხორციელებული პრაქტიკის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული კლასების პედაგოგები იაზრებენ საკვანძო შეკითხვების როლს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მნიშვნელობას და სახავს მას იმ მეთოდიკურ ორიენტირად, რომელიც სწავლის პროცესს უდევს საფუძვლად. 2023-24 სასწავლო წლის დადგომამდე უნდა გაიწეროს დაწყებით საფეხურზე ყველა კლასის კურიკულუმი უცხო ენაში (ინგლისური ენა, რუსული ენა).

ესთეტიკური აღზრდა - სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნებების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ტექნოლოგიები -დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესის მართვა დაფუძნებულია საგნის კურიკულუმზე, რომელსაც უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზანი (შედეგი, სამიზნე ცნება)შუალედური მიზანი (კომპლექსური ბუნების დავალება), თითოეული ერთეული მიემართება სწავლა-სწავლების პროცესისაკენ და ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს, რაც აისახება საგნობრივ კურიკულუმში კომპლექსური ტიპის დავალებების სახით.

სახელმწიფო ენა -დაწყებითი საფეხურის ქართული ენის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები მიმართულია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებად ჩამოყალიბებისკენ. კურიკულუმის ჩარჩოში, რომელიც წარმოდგენილია დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა მიერ, გაწერილია სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, კომპლექსური დავალებები, რაც განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. მოსწავლეთა ნამუშევრები, რომლებიც მასწავლებლებმა წარმოადგინეს, გააზრებული და გაცნობიერებულია მიზნის თვალსაზრისით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათემატიკა – ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო შედეგებს, რის საფუძველზეც სკოლას შედგენილი აქვს დაწყებითი საფეხურის კლასების შესაბამისი მათემატიკის კურიკულუმები. კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები მოცემულია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახით, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ მათემატიკურ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სავალდებულო თემის ფარგლებში მასწავლებლები ისე არჩევენ მათემატიკის საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს დაწყებით საფეხურზე სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას მათემატიკის საკითხებზე დაყრდნობით.

სპორტი – კათედრის მიერ წარმოდგენილია მხოლოდ მე-6 კლასის საგნობრივი კურიკულუმი, სადაც სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სამიზნე ცნებები განსაზღვრულია იმ ცოდნათა ერთობლიობით, რაც მოსწავლემ უნდა შეიძინოს საგნის სწავლისას. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. კათედრამ ამ ეტაპზე წარმოადგინა მხოლოდ ერთი კლასის კურიკულუმი, 2023-24 სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ უნდა უზრუნველყოს ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმის შექმნა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 2.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები შემდეგ საგნებსა და კლასებში: სპორტი-I, II, III, IV, V კლასები; რუსული ენა-Vკლასი; ინგლისური ენა-I კლასი, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ როგორ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „ შეესაბამება“.

2. ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ყველა ასპექტში, ყველა დაგეგმილ აქტივობებში სოციალურ-ემოციური სწავლების პროცესში უნიკალური და გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებელს. იგი გავლენას ახდენს ბავშვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე. დაწყებით საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს ("შავი ზღვა შველას ითხოვს", "კულტურული მრავალფეროვნება"), შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. ეს მიდგომები გათვალისწინებული იქნება დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. დაწყებით საფეხურზე, სხვადასხვა საგნებისთვის სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, 2023-2024 სასწავლო წლიდან თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ხოლო მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად შექმნიან განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებიდან გამომდინარე.

2.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. კათედრაზე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების რეფლექსიაც. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს შეფასების სანდოობას. **2.2.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კათედრები სათანადოდ არ არიან ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სამომავლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლა შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი; შეფასების განმახორციელებელი რგოლი; შერჩევის პრინციპები; ვერიფიკაციის პროცესის აღწერა; შედეგები; შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეფასების სამკოპონენტიანი სისტემა. კათედრისა და პედსაბჭოს ოქმებიდან, წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზიდან, ჩანს, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის ნამუშევრებს, მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-01.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა, რათა უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადსცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2.6 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

პროექტი-"კულტურული მემკვიდრეობა";

შემაჯამებელი დავალების ანალიზი;

კათედრის სხდომის ოქმები;

კათედრის წლიური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ცდილობს შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომლელსაც უნდა უზრუნველყოფდეს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პოზიტიური კომუნიკაციაა მასწავლებლებსა და დირექტორს შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.3.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ანხორციელებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, "კრიტიკული მეგობრის" როლის მორგებით, თანამშრომლობითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით, თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს. ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **2.2.3.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **2.2.3.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პედაგოგებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური საკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **2.2.3.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის მართვის პოლიტიკა;

სკოლის მისია;

სკოლის ხედვა;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმები;

საგნობრივი კურიკულუმები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სამეურვეო საბჭოს ოქმი 1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სამეურვეო საბჭოს ოქმი 2;

დისციპლინური საბჭოს დებულება;

მრჩეველთა საბჭოს დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და მასწავლებლებთან, დირექციასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად, სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული ოთხი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი, თუმცა გეგმავენ შეთანხმებას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების რაოდენობაზე და განსაზღვრავენ სად, რომელ კლასში ჩატარდება ის. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საგნობრივი კათედრების პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, ეს ყველაფერი დეტალურად აისახება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, იქნება ეს ადმინისტრაციული რგოლი თუ მშობელი, შეუძლით შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების გამოცდილება, ხორციელდება დაგეგმილი და რეალიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგრობა და ანალიზი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, განიხილავენ პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა თუ საუკეთესო გამოცდილებას, აფასებენ რამდენად სწორედ მოქმედებენ, რამდენად მდგრადია მათ მიერ დაგეგმილი აქტივობებით მიღწეული შედეგები და აანალიზებენ არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად. **2.3.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **2.3.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

ხარისხის ჯგუფის პოლიტიკა;

სკოლის ერთწლიანი გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია გროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). **2.3.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი, შესაბამისად, **2.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. **2.3.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **2.3.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სკოლაში ვიზიტის დროს წარდგენილი „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები ცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთენ კურიკულუმის პროდუქტიულობასა და ხარვეზებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, **2.4.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ „სკოლაში მოქმედ კურიკულუმებში ასახული იყო სკოლის პრიორიტეტები, მოქმედ კურიკულუმებს საფუძვლად ედო ინტერაქცია, დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. რაც გადამუშავებული სახით აისახება ახალი სასწავალო წლის კურიკულუმების დაგეგვმაში.“ აგრეთვე სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში პუნქტში 1.3.1 კურიკულუმის რევიზია- ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი, **შესაბამისად, 2.4.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

საბაზო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საბაზო საფეხური	☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების წევრების განწყობებისა და შეხედულებების შესწავლის მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გამოსავლენად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი ზოგადია. სკოლა გეგმავს დოკუმენტის მოდიფიცირებას, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული:

- ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში / დახვეწაში;

- კურიკულუმის შემუშავების პროცესის დიზაინი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ამ სახის ინფორმაცია იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში, თვითშეფასების დოკუმენტში, საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრის ოქმებში, საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ ანგარიშში, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან, კათედრების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლოდ გეგმავს წარმოდგენილ „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში კონკრეტულად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ, რა ინსტრუმენტებით მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც სწავლა-სწავლების მიზნები და სასწავლო პროცესია აღწერილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრის, მშობელთა კრების ოქმები, დამრიგებლისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვთ ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. **2.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის საბაზო საფეხურის მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები, რაც დასტურდება სასკოლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმებში, კათედრების ანგარიშებში, აგრეთვე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებში ხაზგასმული ნიუანსებით. კერძოდ, საგნობრივი კათედრების პედაგოგებმა, დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში საგნის მასწავლებლებსა და კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები. მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს. კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისათვის იმართება ე. წ. მშობელთა დღე, მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენების და შეფასების პრინციპები. ასევე განიხილება თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. **წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ 27-ე სკოლის სასკოლო საზოგადოებას აქვს მზაობა, სწორად წარმართოს, განავითაროს კურიკულუმის შემუშავების პროცესები, რაც ასახული იქნება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტშიც. 2.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლის დირექციასთან, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საზოგადოების წევრები გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს, ეს დოკუმენტები განხილულ იქნა კათედრებზე და შემუშავდა საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ყოველი თვის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია, სკოლაში გამოყოფილია საინფორმაციო დაფისთვის კუთხე სიახლეების გასაზიარებლად. სკოლას ამჟამად არ აქვს ვებ-გვერდი, თუმცა ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრისთვის გაგზავნილი წერილი ვებ-გვერდის შექმნისთვის დახმარების თაობაზე. ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ სკოლის მიერ შექმნილი შესაბამისი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. **2.1.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა დაგანვითარების მეთოდოლოგია;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

მშობელთა კრების ოქმი;

სადამრიგებლო გეგმა;

საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ ანგარიში;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

სასკოლო პროექტი- ,,შავი ზღვა შველას ითხოვს";

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. კურიკულუმის ჩარჩოში ყოველთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

არაა გაწერილი კონკრეტული კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები (სკოლა მუშაობს ამ მიმართულებით), თუმცა სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც წარმოადგინეს ვიზიტის დროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ წინა წლის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მოახდინონ საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფა, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ. პედაგოგები მუშაობენ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობის, კონტექსტ-მაგალითების შერჩევა/დახვეწაზე, რათა უზრუნველყოს მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული განვითარება და მაღალი სააზროვნო უნარების მობილიზება. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ამ ტიპის დავალებების შესასრულებლად მოსწავლემ ძალისხმევა უნდა გაიღოს, მართოს საკუთარი სწავლის პროცესი, მიიღოს საინტერესო, მოულოდნელი და განსხვავებული გამოცდილება, გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ 2.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში გაწერილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, სკოლა ახლაც მუშაობს კომპლექსური დავალების პირობების განვითარებაზე, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაყრდნობით. საბაზო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **2.1.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწვალეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა საგნებში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, მათ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მათი განხორციელების მექანიზმები. ამ ეტაპზე სკოლას საბაზო საფეხურზე ჰყავს სსსმ მოსწავლე, სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით, სკოლას ჰყავს სპეც. მასწავლებელი და ასისტენტი. შედგენილია ისგ თითოეული მოსწავლისთვის, რომლის მიხედვითაც ხდება სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **2.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას საბაზო საფეხურზე. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. ამასთან, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შეფასების რუბრიკები ზოგადია, ნაკლებადაა შესაბამისობაში მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან, მასში გათვლილი არ არის სამიზნე ცნებები და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კათედრას შეფასების რუბრიკის შემუშავების გამოცდილება აქვს, მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, ერთმანეთთან თანამშრომლობით სასწავლო წლის დაწყებამდე ისეთი რუბრიკების შემუშავება, რომელიც სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში შესაბამისი იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებთან. სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გაითვალისწინებენ დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **2.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში ისინი იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც, ანალიზითა და ანგარიშებით დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა განსაკუთრებულად გამოკვეთეს წინარე ცოდნის გამოყენების აუცილებლობა მოსწავლეებში ახალი ცოდნისა და უნარების შეძენისათვის. გაკვეთილებზე უფრო მეტად ხელმძღვანელობენ პრინციპით – მოსწავლის გონების წარმართვა ნაცნობი ინფორმაციიდან უცნობისაკენ, ვიდრე სტრატეგიით – მარტივიდან რთულისაკენ. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. **2.1.2.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

სსსმ მოსწავლის შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სსსმ მოსწავლის ისგ;

სამეურვეო საბჭოს ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საბაზო საფეხურის ყველა საგნის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს, მაგ. სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის როლურ თამაშებს, გამომგონებლობებს, მოსწავლეები წერენ ნოველებს, ანალიტიკურ ესეს, წერილს, ზღაპარს, როლური თამაშების გამოყენებით აწყობენ პრესკონფერენციებს, ადგენენ საგაზეთო სტატიებს, წერენ დღიურებს და ა.შ. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების სწავლების პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილია პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, კომპლექსური დავალებები. საგნობრივი კათედრების (მაგ. საბუნებისმეტყველო კათედრის წლიური ანგარიში) დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლას აქვს ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და სხვადასხვა აქტივობებისდაგეგმვისას გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობებს. შეეცდებიან ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **2.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საბაზო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნაა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე. საბაზო საფეხურის საგნობივ კურიკულუმებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები (რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით), რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო პროექტი "შავი ზღვა შველას ითხოვს", პროექტი "კულტუტული მემკვიდრეობა", პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. **2.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი (თვითრეგულირებული სწავლა), ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? არის კი მკაფიო, სპეციფიკური, დროსა და სივრცეში გაწერილი, თუ ბუნდოვანი და ზოგადი? რას აკეთებს მიზნის მისაღწევად? რამდენად ეფექტიანია მისი მცდელობები, რა იქნება თუ შეცვლის სტრატეგიას და ა.შ. კომპლექსური დავალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სწავლების გამოცდილება აქვს სკოლას, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ სექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტებით, საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშით, მასწავლებებლებთან გასაუბრებით, შესაბამისად მეტაკოგნიციაზე აქცენტი მეტად აისახება კურიკულუმში, სასწავლო პროექტებში; მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებში, სასწავლო პროცესში გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. **2.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები...) თანახმად, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების პროდუქტები. **2.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ყველა ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოადგინა სკოლამ. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები ყოველთვის გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **2.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი საფეხურის კურიკულუმები;

საბუნებისმეტყველო კათედრის წლიური ანგარიში

ლიტერატურული წრე;

მკითხველთა კლუბი-"მწიგნობრები";

სასკოლო პროექტი-"კულტურული მემკვიდრეობა";

სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის საბაზო საფეხურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლის მიერ მიერ წაწარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი საგნების მიხედვით ასეთია:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები- სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო საბაზო საფეხურის ყველა კლასისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თუმცა არის უზუსტობები, რომელიც უნდა გასწორდეს.

სკოლამ წარმოადგინა:

ფიზიკა-კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასისთვის, ჩარჩო ძირითადად კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან არ არის შერჩეული რამდენი და რომელი კომპლექსური დავალება განხორციელდება თითოეულ კლასში 2023-24 სასწავლო წელს. გაწერილია სასწავლო რესურსები ზოგიერთ თემასთან მიმართებით, თუმცა უმეტესად არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოს შესამაბისი მასალა. კერძოდ:

VII კლასი- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი ძირითადად სწორადაა ორგანიზებული. პირველი თემად დაფიქსირებულია: „მოსამზადებელი პერიოდი“, ასეთი თემა ფიზიკის საგნობრივ სტანდარტში არ არსებოს. სტანდარტით განსაზღვრული თემების მიხედვით გაწერილია სამიზნე ცნებები და საკითხთა კლასტერები, თუმცა ყველგან არაა დაკონკრეტებული ქვეცნებები, რომელთა გააქტიურებაც ხდება აღნიშნულ ცნებებთან მიმართებით. ძირითადად არ არის გაწერილი სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

VIII კლასი- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი ძირითადად სწორადაა ორგანიზებული. სტანდარტით განსაზღვრული თემების მიხედვით გაწერილია სამიზნე ცნებები და საკითხთა კლასტერები, თუმცა ყველგან არაა დაკონკრეტებული ქვეცნებები, რომელთა გააქტიურებაც ხდება აღნიშნულ ცნებებთან მიმართებით. სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა არ არის ყველგან დაკონკრეტებული.

IX კლასი- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი დასარედაქტირებელია: 9- კლასში სტანდარტით განსაზღვრულია ორი თემის სწავლება: „აჩქარებული მოძრაობა", „დინამიკა და სტატიკა". ცხრილში მოცემულია მესამე თემაც „არათანაბარი მოძრაობა", რომელიც სტანდარტით განსაზღვრული არაა. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები განსაზღვრულია თემებისთვის. კურიკულუმის ცხრილში გამოყოფილია თემის შესაბამისი საკითხთა კლასტერები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. საკითხთა კლასტერებთან დაკონკრეტებული სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა. 9-ე კლასში შერჩეულია ერთი კომპლექსური დავალება, წარმოდგენილია დავალების პირობა, თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში ეს დავალება მითითებულია თემაში „არათანაბარი მოძრაობა", ასეთი თემა არ არის სტანდარტით განსაზღვრული, ეს საკითხთა კლასტერია ცხრილში წარმოდგენილი პირველი თემის ფარგლებში.

ბიოლოგია-წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო ყველა კლასისთვის, რომლებიც ძირითადად კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, მათგან არ არის შერჩეულია რამდენი და რომელი კომპლექსრუი დავალება განხორციელდება თითოეულ კლასში. გაწერილია სასწავლო რესურსები ზოგიერთ თემასთან მიმართებით, თუმცა უმეტესად არ არის მითითებული გრიფირებული სახელმძღვანელოს შესამაბისი მასალა. კერძოდ:

VII კლასი- კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი დასარედაქტირებელია: სტანდარტით განსაზღვრული თემები გაბნეულია პირველ და მეორე გრაფაში, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები განსაზღვრულია თემებისთვის;"ცხოველები" და „მიკროორგანიზმები", მეხუთე თემა „სასიცოცხლო ციკლი" საერთოდ არაა გაწერილი. კურიკულუმის ცხრილში გამოყოფილია თემის შესაბამისი საკითხთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კლასტერები სამიზნე ცნებებთან მიმართებით. საკითხთა ყველა კლასტერთან არაა დაკონკრეტებული სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა.

VIII კლასი- კურიკულუმის ჩარჩო ძირითადად სწორად არის გაწერილი. სტანდარტით განსაზღვრული სასწავლო თემები დაფარულია შესაბამისი საკითხთა კლასტერებით, გაწერილია სამიზნე ცნებები. მოცემულია შერჩეული ელექტრონული რესურსები, არ არის დაკონკრეტებული სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა.

IX კლასი- კურიკულუმის ჩარჩო ძირითადად სწორად არის გაწერილი. სასწავლო თემის დასახელება წერია: „შეგრძნების ორგანოები", უნდა ეწეროს-ადამიანის შეგრძნების ორგანოები, წერია:"რეპროდუქციული სისტემა", უნდა ეწეროს-ადამიანის რეპროდუქციული სისტემა. სამიზნე ცნებები განსაზღვრულია ყველა თემისთვის. არ არის დაკონკრეტებული სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა, ზოგჯერ არ არის მითითებული წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების ლინკები ყველა ძირითადი საკითხისთვის.

ქიმია-კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია საბაზო საფეხურის ორივე კლასისთვის, 8-ე და 9-ე. დოკუმენტი კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, აგრეთვე მითითებულია ყველა საკითხთა კლასტერისთვის შესაბამისი სასწავლო რესურსები. თუმცა არ არის მითითებული რომელი კომპლექსური დავალებების განხორციელებას გეგმავს სკოლა. ქიმიის მასწავლებელთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისამდე კათედრა შეჯერდება შესასრულებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობასა და შინაარსზე.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ე.ს.გ-ის მიხედვით, სკოლას მოთხოვნების საფუძველზე კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით. კათედრას წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის მიხედვით ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმი.

გეოგრაფია VII-VIII-IX კლასი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმის ჩარჩოში საკითხები ისეა ჩაშლილი, რომ სრულად ფარავს სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებს. გაწერილია სსაწავლო რესურსებით, რომელიც სახელმძღვანელოსთან არის შესაბამისობაში.

მოქალაქეობა VII-VIII-IX კლასი.

საგანში მასწავლებელს მოყვანილი აქვს თემაში ჩაშლილი ცნებები, საკითხები, კონტექსტ-მაგალითები. რესურსებს იყენებს მხოლოდ სახელმღვანელოდან, სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს სხვა მრავალფეროვანი რესურსებიც.

ისტორია VII-VIII-IX კლასი.

IX კლასში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. 7-ე და 8-ე კლასის კურიკულუმები ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდართან და საჭიროებს მოდიფიცირებას, რადგან ყველა თემაში არ არის სრულყოფილად ჩაშლილი სამიზნე ცნებები, კურიკულუმის ჩარჩო არ არის სრულყოფილი, საჭიროებს 7-ე და 8-ე კლასის კურიკულუმის ჩარჩოს შეცვლას, რომელიც სტანდართან მოიყვანს შესაბამისობაში. სკოლას ეძლევა რჩევა: ყველა თემაში საკითხები ისე იყოს შერჩეული რომ დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. ასევე კათედრამ სასწავლო წლის დასაწყისისთვის მოახდინოს კურიკულუმების ჩარჩოს მოდიფიცირება ისე, რომ ყველა საგანი მოიცავდეს ერთი დიზაინის კურიკულუმის ჩარჩოს. კათედრის წევრები გამოთქვამენ მზაობას, კურიკულუმის მოდიფიცირებასთან დაკავშრებით, რომელიც სტანდარტთან იქნება შესაბამისობაში და შემუშავებული კურიკულუმები მორგებული იქნება მოსწავლეებზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე.

უცხოური ენები-სკოლა საბაზო საფეხურის სტანდარტს ეყრდნობა და მისი ინდიკატორების მისაღწევად იყენებს კომპლექსურ დავალებებს. სკოლის მიერ წარმოდგნილ 8-ე კლასის კურიკულუმებში (ინგლისური, რუსული) პედაგოგებს მომდევნო სასწავლო წლისთვის შერჩეული აქვთ ისეთი კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეს წარმოსახავს ცენტრალურ სუბიექტად, რომელიც აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს. ინგლისური ენის კურიკულუმში იკვეთება სამიზნე ცნებების არ დაზუსტების ტენდენცია, რუსული ენის 8-ე კლასის კურიკულუმი სრულად არის წარმოდგენილი, მიუხედავად ამისა, წარდგენილი კურიკულუმების მიხედვით, ბუნდოვანია რა პროცესები მიმდინარეობს საბაზო საფეხურის სხვა კლასებში, რომელი სამიზნე ცნებები აქტიურდება და რომელი კომპლექსური დავალებები შეირჩა, რა რესურსზე დაყრდნობით განხორციელდება სწავლება, შესაბამისად საბაზო საფეხურის სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კლასებში არ იკითხება კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. სკოლას ეძლევა რჩევა, წარმოდგენილი უზუსტობების გათვალისწინებით მოახდინოს 8-ე კლასის კურიკულუმების მოდიფიცირება, დააზუსტოს ქვეცნებებითა და ქვესაკითხებით მერვე კლასის ინგლისური ენის კურიკულუმი, საბაზო საფეხურის 7-ე და 9-ე კლასისთვის გაიწეროს საგნობრივი კურიკულუმი ინგლისური და რუსული ენებისთვის.

ესთეტიკური აღზრდა – სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-VIII-IX) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. თუმცა გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხელოვნებაში საკითხები აქვთ დასახვეწი და შესაცვლელი, რასაც სექტემბრამდე შეცვლიან. ასევე საგნობრივ მასალაზე დაყრდნობით იგეგმება საინტერესო სასწავლო პროექტების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება სამიზნე ცნებების სიღრმისეულად გააზრებაზე, რაც თანამედროვე მოზარდის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას გულისხმობს.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ენა – საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები მოცემულია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახით, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში კონკრეტულ საკითხებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ანალიზიდან ჩანს, რომ სასწავლო თემებს მასწავლებლები არჩევს მოსწავლეების მიერ სამიზნე ცნებების გააზრების გათვალისწინებით. დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს საბაზო საფეხურზე სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, კურიკულუმის შემუშავების პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის უზუსტობები: კურიკულუმის ჩარჩო საფეხურზე წარმოდგენილია ისე, რომ მოითხოვს დასრულებას, რადგან ზოგიერთ თემას აკლია სამიზნე ცნება. წარმოდგენილია მე-9 კლასის კომპლექსური დავალებები, რომელიც ძველი ფორმით არის მოწოდებული, თუმცა პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა იმისა, რომ ახალ სასწავლო წელს შეხვდებიან სრულიად ახალი გადამუშავებული კომპლექსური დავალებებით. ამ ეტაპზე, საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასი) წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო იძლევა საშუალებას, განისაზღვროს საფეხურის მზაობა მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის სრულყოფილად დაგეგმვისათვის. სკოლასთან გასაუბრების შედეგად ცხადი გახდა, რომ სექტემბრისთვის კურიკულუმები სრული სახით იქნება გაწერილი. სასწავლო პროცესში მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გასაუბრებიდან გაირკვა, რომ შექმნილია დიფერენცირებული მიდგომებისათვის საჭირო რესურსებიც, რომელიც სკოლას დოკუმენტის სახით არ წარმოუდგენია.

მათემატიკა - ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო შედეგებს, რის საფუძველზეც სკოლა ადგენს კლასების შესაბამის მათემატიკის წლიურ კურიკულუმებს. საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნები მოცემულია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახით, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ მათემატიკურ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლაში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია სტანდარტებით დაფუძნებულ გრძელვადიან მიზნებზე. საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების შესრულების დროს გაწერილია სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. საბაზო საფეხურის კურიკულუმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათემატიკის სასწავლო თემებს მასწავლებლები ისე არჩევენ, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეების მიერ სამიზნე ცნებების გააზრებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს საბაზო საფეხურზე სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას მათემატიკის საკითხებზე დაყრდნობით.

სპორტი - სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმები არ იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისობის მიხედვით გაწერილი. ვიზიტის დროს მოხდა რჩევის მიცემა და კათედრის მიერ მოხდა საბაზო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საფეხურის, კერძოდ მხოლოდ 7-ე კლასის კურიკულუმის შემუშავება და მოწოდება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებზე და მათი განვითარების საშუალებას იძლევა. კურიკულუმში წარმოდგენილია გრძელვადიანი მიზნები, მის ფარგლებში დასამუშავებელი თემები, თემებში დასაფარი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, რომელიც საფეხურის შედეგებს განსაზღვრავს და მოსწავლის ცოდნის კონსტრუირებაზეა ორიენტირებული. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. თემების მიხედვით გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა, რაც სპორტულ ფესტივალს, კედლის გაზეთის, ბუკლეტის მომზადებას ითვალისწინებს და მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას უწყობს ხელს და სწავლა სწავლების პროცესს ხდის აქტიურს. თუმცა აუცილებელი იყო მსგავსი ტიპის მამოტივირებელი აქტივობები კათედრას სხვა კლასებისთვისაც გაეწერა. კათედრას არ წარმოუდგენია 8-ე და 9-ე კლასის კურიკულუმები, შესაბამისად ვერ ვგებულობთ როგორ და რა გზებით განხორციელდება ამ კლასებში მოსწავლის ცოდნასა და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა. კათედრის მიერ უნდა მოხდეს საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმების შემუშავება. **სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 2.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემდეგ საგნებსა და კლასებში: სპორტი-VIII, IX კლასი; რუსული ენა-VII, IX კლასი; ინგლისური ენა-VIII, IX კლასი. სკოლამ წარმოადგინა ყველა კლასის კურიკულუმი ინგლისურ ენაში, გარდა VII კლასისა (შესაბამისობის გეგმით გაწერილი და წარმოდგენილია VIII კლასის კურიკულუმი, ნაცვლად VII კლასისა, ტექნიკური ხარვეზია. ყველა კლასის კურიკულუმები გაწერილია ესგ-ს მიხედვით, უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას და სკოლას აქვს მზაობა რომ ასევე გაწერილი ჰქონდეს VIIკლასის კურიკულუმიც ინგლისურ ენაში) წარმოდგენილ კურიკულუმებში მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ როგორ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება".**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ მოწვდილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ყველა ასპექტში, ყველა დაგეგმილ აქტივობებში. სოციალურ-ემოციური სწავლების პროცესში უნიკალური და გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებელს. იგი გავლენას ახდენს ბავშვების სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე, საბაზო საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებების უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს ("შავი ზღვა შველას ითხოვს", "კულტურული მრავალფეროვნება"), შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს (მაგ. ექსკურსია გონიოს ციხეზე). დოკუმანტებიდან ირკვევა, რომ სკოლა ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც მათ ჩამოაყალიბეს კლუბი "მწიგნობრები". აქ განხორციელებული აქტივობები ძალზე ეხმარება მოსწავლეებს ფსიქო-სიციალური განვითარების საქმეში. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. ეს მიდგომები გათვალისწინებული იქნება საბაზო საფეხურის ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას. **2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საბაზო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა საგნებისთვის სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. უნდა აღინიშნოს, კათედრის მიერ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შესაბამისობაში არ არის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში შემუშავებულ რუბრიკებთან, თუმცა კათედრამ ესგ-ის მოთხოვნების შესაბამისი რუბრიკები წარმოადგინა მუსიკასა და გამოყენებით და სახვით ხელოვნებაში, ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მათი დახმარებით, რუბრიკების შექმნა მოხდება სპორტისთვისაც. **2.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. კათედრაზე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების რეფლექსიაც. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის გეგმავენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების დახვეწასა და გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გასაუმჯობესებლად, პრობლემების იდენტიფიცირებისა და შემდგომი პროცესების დაგეგმვისთვის. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს შეფასების სანდოობას. **2.2.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სამომავლოდ სკოლა შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი; შეფასების განმახორციელებელი რგოლი; შერჩევის პრინციპები; ვერიფიკაციის პროცესის აღწერა; შედეგები; შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეფასების სამკოპონენტიანი სისტემა. კათედრისა და პედსაბჭოს ოქმებიდან, წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზიდან, ჩანს, მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის ნამუშევრებს, მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. სკოლის მიერ წარმოდგენილი პროექტების, კომლექსური დავალებებისა და სხვა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების, გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა მზადაა, მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშაოს ვერიფიკაციის მექანიზმები და დანერგოს სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-01.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა, რათა უზრუნველყოს შეფასების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადსცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლას აქვს მზაობა, რომ უზრუნველყოს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2.6 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

სასწავლო პროექტები;

ლიტერატურული წრე;

მკითხველთა კლუბი-"მწიგნობრები";

გასვლითი შემეცნებითი გაკვეთილი გონიოს ციხეზე;

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები;

შემაჯამებელი დავალების ანალიზი;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

განმავითარებელი შეფასების რუბრუკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომლელსაც

უნდა უზრუნველყოფდეს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა მასწავლებლებსა და დირექტორს შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.3.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. საბაზო საფეხურის პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ანხორციელებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, კრიტიკული მეგობრის როლი მორგებით, თანამშრომლობითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს. ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **2.2.3.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექციასთან, საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმი, სასწავლო პროექტები მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **2.2.3.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. საბაზო საფეხურის პედაგოგებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური საკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.**2.2.3.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის მისია და ხედვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგნობრივი კურიკულუმები;

შემაჯამებელი დავალების ანალიზი;

სასკოლო და სასწავლო პროექტები;

ისგ;

საგნობრივი კათედრების ანგარიში;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმები;

მრჩეველთა საბჭოს დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან, დირექციასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული 4 სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეირჩა მეორე ინსტრუმენტი, თუმცა საბაზო საფეხურზე გეგმავენ შეთანხმებას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების რაოდენობაზე და განსაზღვრავენ სად, რომელ კლასში ჩატარდება ის. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საგნობრივი კათედრების პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, ეს ყველაფერი დეტალურად აისახება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, იქნება ეს ადმინისტრაციული რგოლი თუ მშობელი, შეუძლით შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების გამოცდილება, ხორციელდება დაგეგმილი და რეალიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგრობა და ანალიზი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, განიხილავენ პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა თუ საუკეთესო გამოცდილებას, აფასებენ რამდენად სწორედ მოქმედებენ, რამდენად მდგრადია მათ მიერ დაგეგმილი აქტივობებით მიღწეული შედეგები, და აანალიზებენ არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად. **სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი, შესაბამისად, 2.3.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **2.3.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია გროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი, სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება)**2.3.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2 სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი, შესაბამისად, **2.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს – კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. **2.3.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **2.3.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სკოლაში ვიზიტის დროს წარდგენილი „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ჩანაწერი:„კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები ცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ. **ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, 2.4.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ „სკოლაში მოქმედ კურიკულუმებში ასახული იყო სკოლის პრიორიტეტები, მოქმედ კურიკულუმებს საფუძვლად ედო ინტერაქცია, დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. რაც გადამუშავებული სახით აისახება ახალი სასწავალო წლის კურიკულუმების დაგეგვმაში.“ აგრეთვე სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში პუნქტში 1.3.1 კურიკულუმის რევიზია- ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი, შესაბამისად, **2.4.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

საშუალო საფეხური

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐**არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სასკოლო საზოგადოების წევრების განწყობებისა და შეხედულებების შესწავლის მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გამოსავლენად, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი ზოგადია. სკოლა გეგმავს დოკუმენტის მოდიფიცირებას, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული: ვინ, როგორ და რატომ არის ჩართული კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში / დახვეწაში; კურიკულუმის შემუშავების პროცესის დიზაინი (ვის რა ფუნქცია აქვს; როგორ ხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები) და მისი რეალიზების დრო და სივრცე.

ამ სახის ინფორმაცია იკითხება სხვადასხვა დოკუმენტში, კერძოდ: 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაში, თვითშეფასების დოკუმენტში, საგნობრივ კურიკულუმებში, კათედრის ოქმებში, საბუნებისმეტყველო კათედრის წლიურ ანგარიშში, რომლის მიხედვითაც მთელი სასწავლო წლის მანძილზე უნდა ხორციელდებოდეს მასწავლებელთა შორის გამოცდილების გაზიარება და კოორდინირებული მუშაობა. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან, კათედრების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. შეხვედრებზე მიმდინარეობს მსჯელობა მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე, შესაბამისად, კურიკულუმების შედგენის დროს ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, კომპლექსური დავალების აქტივობების დიფერენცირება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. სკოლას აქვს მზაობა და სამომავლოდ გეგმავს წარმოდგენილ „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში კონკრეტულად ასახოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა, თუ ვინ და რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში-მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დირექცია. ვის რა ფუნქცია ექნება; როგორ, რა ინსტრუმენტებით მოხდება სასწავლო პროცესის შესახებ მონაცემთა შეგროვება და გათვალისწინება; რა ფორმით აღიწერება სწავლა-სწავლების მიზნები, მეთოდები და შეფასების ფორმები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში, სადაც სწავლა-სწავლების მიზნები და სასწავლო პროცესია აღწერილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა ინტერესები. წარმოდგენილია კათედრის, მშობელთა კრების ოქმები, დამრიგებლისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტის დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებსა და წინადადებებს. **აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვთ ამ საკითხის მნიშვნელობა და სამომავლოდ სკოლა გეგმავს „კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტში (რომელიც წარმოდგენილია ზოგადი ფორმულირებებით) მკაფიოდ იქნას გაწერილი სასკოლო საზოგადოების (მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი, თემი) ინტერესების, პრიორიტეტების გამოკვეთისა და რეალიზების მექანიზმები. 2.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, საშუალო საფეხურის ყველა საგნობრივი კურიკულუმი, რომელთა შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების წევრები, მათ შორის საშუალო საფეხურის მასწავლებლები, მშობლები და სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები, რაც დასტურდება სასკოლო გეგმაში, პედსაბჭოსა და კათედრის ოქმებში, კათედრების ანგარიშებში, აგრეთვე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებში ხაზგასმული ნიუანსებით, კერძოდ, საგნობრივი კათედრების პედაგოგებმა, დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტარდებოდა მიზნობრივად დაგეგმილი შეხვედრები სკოლაში საგნის მასწავლებლებსა და კათედრის წევრებთან, პედაგოგები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ტრენინგებს, შესაბამისი საგნობრივი ჯგუფებისთვის გამიზნულ სემინარებს და სხვა). სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები, მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს, კლასის ხელმძღვანელების დახმარებით მშობლები ჩართული არიან სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამისათვის იმართება ე. წ. მშობელთა დღე, მშობელთა კრებები, სადაც განიხილება სწავლა-სწავლების მიზნები, სასკოლო კურიკულუმი, სასწავლო რესურსების გამოყენების და შეფასების პრინციპები. ასევე განიხილება თუ რა ფაქტორები უწყობს ან უშლის ხელს მშობლების სასწავლო პროცესში ჩართვასა და სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას. **წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ 27-ე სკოლის სასკოლო საზოგადოებას აქვს მზაობა, სწორად წარმართოს, განავითაროს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმის შემუშავების პროცესები, რაც ასახული იქნება კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტშიც.

2.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლის დირექციასთან, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასკოლო საზოგადოების წევრები გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ დოკუმენტენტებს, ეს დოკუმენტები განხილულ იქნა კათედრებზე და შემუშავდა საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. ამასთან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც იკითხება, რომ სასკოლო საზოგადოება მუდმივად ინფორმირებულია სასწავლო პროცესში არსებულ გამოწვევებსა თუ მიღწევებზე, ტარდება ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან, ყოველი თვის ბოლოს ტარდება მშობელთა კრებები, სოციალური ქსელის გამოყენებით ზიარდება საჭირო ინფორმაცია, სკოლაში გამოყოფილია საინფორმაციო დაფისთვის კუთხე სიახლეების გასაზიარებლად. სკოლას ამჟამად არ აქვს ვებ-გვერდი, თუმცა ვიზიტის დროს წარმოადგინა სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრისთვის გაგზავნილი წერილი ვებ-გვერდის შექმნისთვის დახმარების თაობაზე. ვებ-გვერდის შექმნის შემდეგ სკოლის მიერ შექმნილი შესაბამისი დოკუმენტები, გაწერილი და განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებისთვის. **2.1.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

მშობელთა კრების ოქმი;

სადამრიგებლო გეგმა;

სასკოლო პროექტი- ,,კულტურული მემკვიდრეობა".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილებში ძირითადად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები კურიკულუმის ჩარჩოში ყოველთვის არაა გაწერილი კონკრეტული კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები, თუმცა სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, რაც დასტურდება მასწავლებლებთან გასაუბრებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით, რომლებიც წარმოადგინეს ვიზიტის დროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების შესაბამისად. მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ წინა წლის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე მოახდინონ საგნობრივი კურიკულუმების სრულყოფა, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისაკენ. პედაგოგები მუშაობენ შერჩეული კომპლექსური დავალებების პირობის, კონტექსტ-მაგალითების შერჩევა/დახვეწაზე, რათა უზრუნველყოს მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული განვითარება და მაღალი სააზროვნო უნარების მობილიზება. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ ამ ტიპის დავალებების შესასრულებლად მოსწავლემ ძალისხმევა უნდა გაიღოს, მართოს საკუთარი სწავლის პროცესი, მიიღოს საინტერესო, მოულოდნელი და განსხვავებული გამოცდილება, გამოთქვას ვარაუდები, მოსაზრებები და შექმნას სხვადასხვა ვარიაციები. **აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ 2.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები, სკოლა მუშაობს კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დავალების პირობების დახვეწაზე, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმით, მასწავლებლებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში, პირველ და მეორე სემესტრში მუშავდება თითო-თითო პროექტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი ნაბიჯები, რაც მოსწავლეს ხელს უწყობს განუვითარდეს გლობალური ფუნქციური უნარები. **2.1.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწვალეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლა აცნობიერებს, რომ ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სწავლა-სწავლების დიფერენცირებული მიდგომა გულისხმობს გარემოსა და სტრატეგიების იმ სახით ორგანიზებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა საგნებში სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება რამდენიმე კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დავალება, მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შემოქმედებით პროდუქტებს, ხდება დავალებების, აქტივობების მოდიფიცირება, მორგება მათ საჭიროებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის კარგი პრაქტიკა, ჰყავს სპეც. მასწავლებელი და ასისტენტი. პედაგოგებს აქვთ სასწავლო გეგმის მოდიფიცირების მზაობა. სკოლასი ფუნქციონირებს რესურსოთახი, რომელიც კარგადაა აღჭურვილი საჭირო რესურსებით. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, ინდ. სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის. **2.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას საშუალო საფეხურზე. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აგრეთვე წარმოდგენილია ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება, ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე თითოეული შესასწავლი თემისთვის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. ამასთან, კომპლექსური დავალებების პირობების შექმნისას გაითვალისწინებენ დავალების შეფასების კრიტერიუმების შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან- სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **2.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლის პროცესში იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდება ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წლისთვის წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებულ/რევიზირებულ დოკუმენტებში. **2.1.2.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

განმავითარებელი სეფასების რუბრიკები;

მოსწავლეთა შეფასებისა და თვითშეფასების რუბრიკები;

პროექტი: "კულტუტული მრავალფეროვნება";

კათედრის სხდომის ოქმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს, მაგ. სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის როლურ თამაშებს, გამომგონებლობებს, მოსწავლეები წერენ ნოველებს, ანალიტიკურ ესეს, ქმნიან უბის წიგნაკებს, მართავენ თოქ-შოუებს, კითხულობენ მინი ლექციებს, ადგენენ საგაზეთო სტატიებს, როლური თამაშების გამოყენებით აწყობენ პრესკონფერენციებს, ადგენენ საგაზეთო სტატიებს, წერენ დღიურებს და ა.შ. საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების სწავლების პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილია პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, კომპლექსური დავალებები. საგნობრივი კათედრების (მაგ. საბუნებისმეტყველო კათედრის წლიური ანგარიში) დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, სკოლას აქვს ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებზე მუშაობის დროს უფრო კომპლექსურად მიუდგებიან სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობებს. შეეცდებიან ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება. **2.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე. საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები (რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით), რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით. სკოლამ წარმოადგინა პროექტები "შავი ზღვა შველას ითხოვს", "კულტურული მრავალფეროვნება". პედაგოგები ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების (საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, თანამშრომლობითი აქტივობები) დაგეგმვა/განცორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება. **2.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მიზნებს: მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავს ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლები გეგმავენ კომპლექსური დავალებების პირობების სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად, კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში აქცენტი მეტად გაკეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე, მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს რეფლექსიის წახალისებაზე, შესრულებული დავალებების ანალიზზე. მეტად წახალისებული იქნება მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება აქვს სკოლას, რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტებით, საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშით, მასწავლებებლებთან გასაუბრებით.**2.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი...) თანახმად, საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას, ახდენენ მის რეალიზებას და პრაქტიკაში გამოყენებას, რაზეც მეტყველებს საშუალო საფეხურისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. **2.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები (ზოგჯერ იდეის დონეზე), როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, ის არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს უპასუხოს კონტრარგუმენტით, მოძებნოს გამოსავალი, დაინახოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. ყველა ეს აქტივობა კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. ამავდროულად იგივე მხადაჭერა შეუძლია ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენების თვალსაზრისით არაფორმალურ პროექტულ და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, სადამრიგებლო საათზე განხორციელებულ მუშაობას, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომლის ამსახველი დოკუმენტაციაც ასევე წარმოადგინა სკოლამ. პედაგოგებს აქვთ მზაობა აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში. **2.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ლიტერატურული წრე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მკითხველთა კლუბი-"მწიგნობრები;

სასკოლო პროექტი-"კულტურული მემკვიდრეობა";

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს, მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები 10-ე კლასში (არ წარმოუდგენია რუსული ენის კურიკულუმი) , მასწავლებლებს აქვთ მზაობა და აგრძელებენ მუშაობას 11-ე კლასის კურიკულუმებზე ახალ გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე დაფუძნებით. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზი საგნების მიხედვით ასეთია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები – სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კურიკულუმის ჩარჩო საშუალო საფეხურის 10-ე კლასისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება, პედაგოგები მუშაობენ კურიკულუმზე 11-ე კლასისითვის ახალ არის უზუსტობები, რომლებიც უნდა გასწორდეს, კერძოდ:

სკოლამ წარმოადგინა

ფიზიკა-კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია 10-ე კლასისთვის, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით სამიზნე ცნებები, ქვეცნებები), გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები და წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა, თუმცა კონტექსტ-მაგალითისა და მაგალითები შედარებისთვის გრაფები ამ დავალებისთვის არაა შევსებული. გაწერილია სასწავლო რესურსები, ძირითდად, გრიფირებული სახელმძღვანელოს შესამაბისი მასალა. საკითხთა მესამე კლასტერისთვის რესურსების გრაფა ცარიელია. აქვე მითითებულია ტელესკოლის გაკვეთილები, თუმცა ლინკების გარეშე. საშუალო საფეხურის ფიზიკის სტანდარტით 10-ე კლასში ორი სავალდებულო თემაა: „ელექტროსტატიკა“ და „მუდმივი დენის კანონები“. კურიკულუმის ცხრილში თემა ელექტროსტატიკა ორჯერაა დაფიქსირებული, ეს გრაფები გასაერთიანებელია, ამასთან მეორე თემის გასწვრივ ცხრილში არასწორ ადგილასაა შესაბამისი ჩანაწერები (სამიზნე ცნება, ძირითადი საკითხები და რესურსები).

ბიოლოგია-კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი ნაწილობრივ არასწორადაა ორგანიზებული: 10-ე კლასში ბიოლოგიის სტანდარტით განსაზღვრულია ორი თემის სწავლება: 1. უჯრედის ბიოლოგია; 2. უჯრედის გამრავლება. შესაბამისად პირველი სვეტი არასწორადაა ორგანიზებული, სავარაუდოდ წიგნის ქვეთავებია დატანილი. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები განსაზღვრულია. საკითხთა კლასტერში გამოტანილია სავარაუდოდ სახელმძღვანელოს პარაგრაფების ჩამონათვალი, გამოყოფილი უნდა იყოს თემის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ძირითადი მსხვილი საკითხები, რომელთა შესწავლაც მოხდება კომპლექსური დავალებების საშუალებით. საკითხთა კლასტერებთან ყველგან არ არის განსაზღვრული შესაბამისი სასწავლო რესურსები, არ არის დაკონკრეტებული სახელმძღვანელოს შესაბამისი მასალა.

ქიმია-სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის 10-ე კლასის კურიკულუმის ჩარჩო ქიმიაში. დოკუმენტი კარგად არის ორგანიზებული, გაწერილია სასწავლო პროცესი გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით, გამოყოფილია შუალედური სასწავლო მიზნები, გაწერილია კომპლექსური დავალებების იდეა, კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, აგრეთვე მითითებულია ყველა საკითხთა კლასტერისთვის შესაბამისი სასწავლო რესურსები. ქიმიის მასწავლებელთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო წლის დასაწყისამდე კათედრა შეჯერდება შესასრულებელი კომპლექსური დავალებების რაოდენობასა და შინაარსზე, შესაბამისად გაწერს 11-ე კლასისი კურიკულუმსაც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები - ე.ს.გ-ის მიხედვით, სკოლას მოთხოვნების საფუძველზე კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული სამიზნე ცნებების და მკვიდრი წარმოდგენები საგნობრივ სტანდარტთან მიმართებით. სასწავლო რესურსები, კათედრას დაგეგმილი და წარმოდგენილი აქვს 10 კლასის ყველა საგნის კურიკულუმი:

გეოგრაფია, ისტორია, მოქალაქეობა-წარმოდგენილი 10კლასის კურიკულემში საგნობრივი თემები გრძელვადიან მიზნებზე, საკითხები სამიზნე ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებზეა ორიენტირებული, რომელიც შეესაბამება საგნობრივ სტანდარტს საფეხურზე. როგორც დაგეგმილი კურიკულუმები მოწმობს, თითეული შედეგი უკავშირდება საგნობრივ სამიზნე ცნებებს, ქვეცნებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. სასურველი იქნებოდა მასწავლებელს გეოგრაფიის საგანში მოეხდინა კურიკულუმის მოდიფიცირება, რადგან ორი თემიდან ერთ თემაში არჩეული აქვს ერთი საკითხი და სამიზნე ცნებები სრულად ვერ ფარავს თემას, ხოლო მეორე თემა სრულად მოიცავს ყველა სამიზნე ცნებებს. ისტორიის 10-ე კლასის კურიკულუმი სრულად არის გაწერილი, თემა, სამიზნე ცნებები, საკითხი და კონტექსტ-მაგალითები, რესურსების გათვალისწინებით. ასვე საჭიროებს მოქალაქოების საგნის კურიკულუმიც მოდიფიცირებას, რათა მოხდეს სტანდარტით განსაზღვრულ ყველა თემაში ყველა სამიზნე ცნების დამუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უცხოური ენები – სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების, გაწერილი კომპლექსური დავალებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამიზნე ცნებები არის მთავარი ორიენტირი და მისკენ მიემართება სწავლა-სწავლების პროცესი. სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები და საკვანძო შეკითხვები. ქვეცნებები არის ის საყრდენი ერთეულები, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს, მათი საშუალებით კი მუშავდება სამიზნე ცნება. სკოლამ არ წარმოადგინა 10-ე კლასის კურიკულუმი რუსულ ენაში.

ესთეტიკური აღზრდა – სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) პროექტული სწავლება მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის. შუალედური სასწავლო მიზნები (კომპლექსური დავალებები) ამ ეტაპზე არ აქვთ გაწერილი, თუმცა ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის გაწერენ და დააზუსტებენ სამიზნე ცნენებს ქვეცნებებსა და მათ მიმართებას საგნობრივი საკითხის მრავალმხრივი გააზრებისკენ, რაც უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

სახელმწიფო ენა –საგნობრივი თემები გრძელვადიან მიზნებზე, ანუ განვითარებად უნარებზე მრავალგზის მუშაობის საშუალებას იძლევა. ხოლო საგნობრივი საკითხები კი – სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისების საშუალებას. ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტები საფეხურების მიხედვით განსაზღვრავს სავალდებულო შედეგებს, რომლის მიხედვითაც სკოლა გეგმავს კლასების შესაბამის ქართული ენისა და ლიტერატურის წლიურ კურიკულუმებს. კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები მოცემულია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახით, რომლებიც მუშავდება თითოეული თემის ფარგლებში კონკრეტულ საკითხებზე დაყრდნობით. საშუალო საფეხურის კურიკულუმების ანალიზიდან ჩანს, რომ სასწავლო თემებს მასწავლებლები არჩევენ მოსწავლეების მიერ სამიზნე ცნებების გააზრების გათვალისწინებით. დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს საშუალო საფეხურზე სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ქართულ ენასა და ლიტერატურაში კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მე-10 კლასის კურიკულუმი გაწერილია თემის, სამიზნე ცნების, საკითხის, კონტექსტური მაგალითის, კომპლექსური დავალების პირობისა და რესურსების გათვალისწინებით. თუმცა თემებში ყველა ცნება არ არის გააქტიურებული. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზია და ამას სექტემბრისთვის გამოასწორებენ. ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე დანარჩენი კლასებისთვის კურიკულუმის გაწერის მზაობა არის. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისეთ საკვანძო შეკითხვებს სვამენ, როგორიც აძლიერებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და ეხმარება მათ მკვიდრი წარმოდგენების გათავისებაში, ეხმარება სიღრმისეული აზროვნების გააქტიურებაში. ეს კი მათ პირობისეული ცოდნისკენ უბიძგებს. მე-10 კლასის კურიკულუმი სწორედ ამ პრინციპით არის აგებული. დოკუმენტების შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს საშუალო საფეხურზე სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას ქართულ ენაში.

მათემატიკა - ეროვნული სასწავლო გეგმის მათემატიკის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულია საშუალო საფეხურის სავალდებულო შედეგები, რის საფუძველზეც სკოლას შედგენილი აქვს კლასების შესაბამისი მათემატიკის კურიკულუმები. კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები მოცემულია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების სახით, რომლებიც მუშავდება კონკრეტულ მათემატიკურ საკითხებზე დაყრდნობით. სკოლის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილია რა მეთოდებით, აქტივობებით და რესურსებით შეძლებს მოსწავლე გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. სავალდებულო თემის ფარგლებში მასწავლებლები ისე არჩევენ მათემატიკის საკითხებს, რომ ხელი შეუწყოს სამიზნე ცნებების გააზრებას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს საშუალო საფეხურზე სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას მათემატიკის საკითხებზე დაყრდნობით.

სპორტი - კათედრის მიერ წარმოდგენილია მე-10 კლასის კურიკულუმი, სადაც სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სამიზნე ცნებები განსაზღვრულია იმ ცოდნათა ერთობლიობით, რაც მოსწავლემ უნდა შეიძინოს საგნის სწავლისას. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის . კათედრამ ამ ეტაპზე წარმოადგინა 10-ე კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კურიკულუმი, სასწავლო წლის დასაწყისამდე გაიწერება ყველა კლასის საგნობრივი კურიკულუმი საშუალო საფეხურზე, რისი მზაობაც არის სკოლაში. .

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 2.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით, წარმოადგინა საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემდეგ საგნებსა და კლასებში: რუსული ენა-X კლასი, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული, თუ როგორ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესი სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით, შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,, შეესაბამება".

2. ჩატარებული გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ მასწავლებლები ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ-ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ყველა ასპექტში, ყველა დაგეგმილ აქტივობებში, სოციალურ-ემოციური სწავლების პროცესში უნიკალური და გადამწყვეტი როლი ენიჭება მასწავლებელს. იგი გავლენას ახდენს ბავშვების სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე. მოსწავლისა და მასწავლებლის ყოველდღიური ურთიერთობა დაფუძნებულია ღირებულებებზე, საშუალო საფეხურზე დაგეგმილი კომპლექსური დავალებების უმეტესი ნაწილი მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს (მაგ. ექსკურსია გონიოს ციხეზე), საკლუბო მუშაობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მშობლების როლიც. სკოლა სოციალური ქსელი საშუალებითაც ახერხებს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე დაკვირვებას. საგნობრივი კურიკულუმების განვითარებისას მასწავლებლები კიდევ უფრო მეტად გაითვალისწინებენ აღნიშნულ გამოცდილებას, სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი უპირატესობას მიანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა.

2.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და საშუალო საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს განმავითარებელ რეკომენდაციებს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დონის დასადგენად. საშუალო საფეხურზე სხვადასხვა საგნებისთვის სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. პედაგოგებთან გასაუბრებით, შეფასების რუბრიკების წარმოდგენილ ნიმუშებზე დაყრდნობით, იკვეთება, რომ სკოლას აქვს გამოცდილება, ქოუჩინგის პროცესშიც უმუშავიათ ამაზე, შესაბამისად, 2023-2024 სასწავლო წლიდან თემებიდან გამომდინარე, სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. **2.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, ინტერვიუს გზით გამოვლინდა დადებითი პრაქტიკა, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს, აზუსტებენ ნამდვილად გაიგო თუ არა მოსწავლემ დავალების პირობა და ის თუ როგორ შეფასდება. კათედრაზე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალების რეფლექსიაც. მასწავლებლები გააგრძელებენ მუშაობას შეფასების მეთოდოლოგიაზე, შეფასების კრიტერიუმებზე. გაითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, დააკვირდებიან და გამოკვეთენ, რომელ შედეგს მიემართება შეფასება, მოსწავლეებს წინასწარ ეცოდინებათ, თუ როგორ შეფასდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მათი ცოდნა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. შეფასება იქნება გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი. თითოეული ქულა თუ განმავითარებელი შეფასება იქნება რეალისტური, კონკრეტული, დახვეწილი და არაორაზროვანი. ეს კი, თავის მხრივ, განსაზღვრავს შეფასების სანდოობას. **2.2.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სკოლის თვითშეფასების ფორმაში წერია, რომ სამომავლოდ სკოლა შეიმუშავებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმს, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი; შეფასების განმახორციელებელი რგოლი; შერჩევის პრინციპები; ვერიფიკაციის პროცესის აღწერა; შედეგები; შედეგების ასახვა და სამოქმედო გეგმა.

სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხება, რომ სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული აქვს შეფასების სამკოპონენტიანი სისტემა. კათედრისა და პედსაბჭოს ოქმებიდან, წარმოდგენილი მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზიდან, შემაჯამებელი დავალებების ანალიზიდან, ჩანს, რომ მასწავლებლები განიხილავენ მოსწავლის ნამუშევრებს, მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. სკოლა მომავალი სასწავლო წლისთვის შეიმუშავებს ვერიფიკაციის მექანიზმებს და დანერგავს სასწავლო პროცესში ისე, რომ მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. შეფასებისა და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 2.2.2.5. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 01.10.2023-01.12.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც ,,არ შეესაბამება", შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება". სკოლამ შეიმუშაოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც დარეგურირდება მინიმუმ შემდეგი საკითხები: შეფასების დიზაინი, შეფასების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განმახორციელებელი რგოლი, შერჩევის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა, შედეგები, შედეგების ასახვა, რათა უზრუნველყოს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დანერგვა სასწავლო პროცესში ისე, რომ რეალურად მოხდეს მოსწავლის მიღწევების ანალიზი, რომელიც სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ლუსტრაცია იმისა, რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადსცემენ ადმინისტრაციას შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. კათედრებზე შენახულია 2022-23 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტაციის შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **2.2.2.6 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

პროექტი-"კულტურული მემკვიდრეობა".

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში შექმნილია სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რომლელსაც უნდა უზრუნველყოფდეს სასკოლო სასწავლო გეგმის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მომსახურება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა მასწავლებლებსა და დირექტორს შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს, თუმცა ეს ძირითადად ხდება ზეპირი კომუნიკაციით, არ ხდება მასწავლებელთა უკუკავშირის, ჩატარებული სამუშაოს რეფლექსიის დოკუმენტირება. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.2.3.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის საშუალო საფეხურის პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. ეს აისახება საგნობრივ კურიკულუმებში, რომელშიც გაწერილია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ანხორციელებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, კრიტიკული მეგობრის როლი მორგებით, თანამშრომლობითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს. ინტერვიურების პროცესში აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. **2.2.3.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. **2.2.3.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პედაგოგებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური საკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. და შესაბამისად ამ აქტივობებს ასახავენ სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, საგნობრივ კურიკულუმებში და გაითვალისწინებენ, რომ ეს ასახული იყოს არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **2.2.3.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის მართვის პოლიტიკა;

სკოლის მისია;

სკოლის ხედვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო სასწავლო გეგმა;

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმები;

საგნობრივი კურიკულუმები;

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სამეურვეო საბჭოს ოქმი 1;

სამეურვეო საბჭოს ოქმი 2;

დისციპლინური საბჭოს დებულება;

მრჩეველთა საბჭოს დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის ზოგადი ჩარჩო, სადაც გაწერილია კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი პრინციპები. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და მასწავლებლებთან, დირექციასთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლა იმუშავებს ამ მიმართულებით და დოკუმენტში ასახავს, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა ასევე ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი, რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე შედეგები და პასუხი გასცეს კითხვებს: მიმდინარეობს თუ არა აქტივობები დაგეგმილის მიხედვით? მოახდინა თუ არა ცვლილება პროგრამის აქტივობებმა? აგრეთვე მონაცემთა შეგროვების მეთოდები და ვადები, როლები და პასუხისმგებლობები, ანალიზისა და ანგარიშგების გეგმა, რომლის ბოლო ელემენტიც აღწერს, თუ როგორ აისახება შედეგები კურიკულუმის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ამ ეტაპზე, 2023-2024 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად, სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი, ხოლო შეთავაზებული ოთხი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტიდან შეირჩა მეორე ინსტრუმენტი, თუმცა გეგმავენ შეთანხმებას მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო შეფასების რაოდენობაზე და განსაზღვრავენ სად, რომელ კლასში ჩატარდება ის. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით მონაცემების დამუშავება იგეგმება საგნობრივი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კათედრების პედაგოგებისა და სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, ეს ყველაფერი დეტალურად აისახება კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში. **ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2.3.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. ასევე მასწავლებლებს და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც, იქნება ეს ადმინისტრაციული რგოლი თუ მშობელი, შეუძლით შეფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების გამოცდილება, ხორციელდება დაგეგმილი და რეალიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგრობა და ანალიზი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, განიხილავენ პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა თუ საუკეთესო გამოცდილებას, აფასებენ რამდენად სწორედ მოქმედებენ, რამდენად მდგრადია მათ მიერ დაგეგმილი აქტივობებით მიღწეული შედეგები, და აანალიზებენ არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად, თუმცა ამ პროცესს არ აქვს ორგანიზებული, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების სახე, არ ხდება სათანადო დოკუმენტირება. **სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი, შესაბამისად, 2.3.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან, დირექციასთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. **2.3.1.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

სასკოლო სასწავლო გეგმა.

ხარისხის ჯგუფის პოლიტიკა;

სკოლის ერთწლიანი გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას და ვიღებთ სრულ სურათს. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ საუბარია მაგ. არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების შეფასებაზე, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასებაზე, რომელიც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას, რაც საბოლოოდ აისახება მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია გროვდება რაც შეიძლება მრვალფეროვანი წყროებიდან: ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწვალებელი, დამრიგებელი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის სხვა პერსონალი და სხვა. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება)**2.3.2.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2 სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში და პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესის შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიპოვებენ ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. სწორედ შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. პედაგოგები გასაუბრებაზე აღნიშნავდნენ, რომ მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ მასწავლებლის პროფესიული მზაობა და მისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაც, რომლის მიზანიც იქნება შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მასწავლებლის მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტის გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესები და ა.შ. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოოგიის დოკუმენტში აღწეროს და გაითვალისწინოს ყველა ეს ნიუანსი, შესაბამისად, **2.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს – კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. ყველაზე ტიპური და გამოყენებადი მეთოდები საგანმანათლებლო სფეროში სკოლის ბაზაზე არის ანკეტირება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მეორად მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, ტესტირება, სამოქმედო კვლევა, ექსპერიმენტი და სხვა. **2.3.2.3 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის პედაგოგებთან, დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები მოსწავლის თვითშეფასების ასამაღლებლად იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. 2023 – 2024 სასწავლო წელს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას, სკოლაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესისა თუ მოვლენის შეფასებისას. მნიშვნელოვანია გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე. **2.3.2.4 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სკოლაში ვიზიტის დროს წარდგენილი ,,კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტის ჩანაწერში, პუნქტ 1.2. ,,პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს" ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივ კურიკულუმების გადასინჯვასთან და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: ,,კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე." საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღნიშნული იყო, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია ხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები ცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე იქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.**ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, 2.4.1.1 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ ,,სკოლაში მოქმედ კურიკულუმებში ასახული იყო სკოლის პრიორიტეტები, მოქმედ კურიკულუმებს საფუძვლად ედო ინტერაქცია, დაგეგმილ პროცესებსა და რეალიზებულ პროცესებს შორის. რაც გადამუშავებული სახით აისახება ახალი სასწავალო წლის კურიკულუმების დაგეგვმაში." აგრეთვე სკოლის ,,კურირულუმის შემუშავებისა და მეთოდოლოგიის" დოკუმენტში პუნქტში 1.3.1 კურიკულუმის რევიზია- ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის მონიტორინგის აქტივობებს დააკვირდება და მონიტორინგს გაუწევს ხარისხის განვითარების ჯგუფი. **2.4.1.2 ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია







10.10.2023 წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------